ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## წინასაარჩევნო კამპანია 8 ივლისიდან დაიწყება




გვ.2

10 მაისიდან

ანა ფრანკის დღიური

ოქროს ბიბლიოთეკა ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ოთხშაბათი, 11 მაისი, 2016 №110 (7036) ფასი: 50 თეთრი

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის გარეშე „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთს დაჭამენ“



„რესპუბლიკელებს კარის ხმამაღლა გაჯახუნება სურთ“



გვ.3

## ირაკლი სესიაშვილი: „არმაზ ახვლედიანის წასვლა „ქართულ ოცნებას“ ზიანს ვერ მიაყენებს“



გვ.2



„ბერძენიშვილის დაძახებულზე გადაწყვეტილებას არ ვიღებთ“

## სოსო ჯაჭვლიანი: „რესპუბლიკელებმა თავიანთ მამიდას მიხედონ“

რა ინფორმაციის გავრცელებით ემუქრება თოფაძე ბერძენიშვილებს

გვ.2





## ომარ ნიშნიანიძე: „ღმერთს ვთხოვ, მალაშხიამ სასამართლოში მიჩივლოს“

გვ. 5

„ნაციონალებმა დაშლის ბაცილა საკუთარ პარტიაში მოიკითხონ“

ISSN 1987-9385





## მამუკა გიორგაძე: „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირად შეუწყო ხელი ნაცმოძრაობის გაძლიერებას“

„ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს შემთხვევაში არ მოხდებოდა დასავლური ღირებულებების დევალვაცია“

გვ.7

## ზურაბ აბაშიძე: „რესპუბლიკური პარტია დღემდე ვერ გარკვეულა, ოპოზიციაშია თუ ხელისუფლებაში“

გვ.4



# ირაკლი სესიაშვილი: „არმაზ ახვლედიანის წასვლა „ქართულ ოცნებას“ ზიანს ვერ მიაყენებს“

## „ბერძენიშვილის დაძახებულზე გადაწყვეტილებას არ ვიღებთ“

ნონა ცაბაძე

**„ქართულ ოცნებაში" არსებულ დაპირისპირებებზე საკმაოდ დიდი ხანია აქტიურად საუბრობენ.**





გუშინ პარტია „ქართული ოცნება“ არმაზ ახვლედიანმა დატოვა.

უმრავლესობის შიგნით მიმდინარე პროცესებზე „ახალი თაობის“ შეკითხვებს პარლამენტის დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი პასუხობს.

***– ბატონო ირაკლი, არმაზ ახვლედიანი პარტიას ტოვებს და ბრალად გდებთ, რომ „ოცნებამ“ არ უერთგულა 2012 წელს ნაკისრ ვალდებულებებს. რას უპასუხებდით მის განცხადებებს?***

– მე მეგონა, რომ უკვე გასული იყო ბატონი არმაზი პარტია „ქართული ოცნებიდან“. სამწუხაროდ, ის ამ შემთხვევაში არის განაწყენებული პოლიტიკოსი და განაწყენების გამო წავიდა და არა სხვა რაიმე პრინციპების გამო. რაც შეეხება დანაპირებს, ჩვენ საზოგადოებას ჩავაბარებთ ანგარიშს და საზოგადოებაც დარწმუნდება, რომ ის ძირითადი დანაპირები, რომლებიც ჩვენს პროგრამაში ავსახეთ, თითქმის ყველაფერი შევასრულეთ.

***– რას ნიშნავს, როდესაც აცხადებთ, რომ ახვლედიანი უკვე წასული გეგონათ, რომ ის განაწყენებული პოლიტიკოსია და ასე შემდეგ?***

– რას ნიშნავს და იმას ნიშნავს, რომ ფაქტია, უკვე რამდენიმე თვე ბატონი არმაზი ღიად არის დაპირისპირებული „ქართულ ოცნებასთან“, აკრიტიკებს უსაფუძვლოდ. შეიძლება მეც ასევე არ ვიყო კმაყოფილი მთელი რიგი საკითხებით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მე არ მქონდეს იმის სურვილი და ძალა, რომ ის პრობლემები, რომლებიც პარტიის შიგნით არის, გამოვასწორო. მე ასეთ დროს, პირიქით, უფრო მეტად დავუდგებოდი ჩემს პარტიას გვერდში, იმ პარტიას, რომელმაც რეჟიმისგან იხსნა ქვეყანა, რომელმაც ადამიანის სიცოცხლეზე გააკეთა არჩევანი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით!

იმაზე ბევრად რთულ პროცესში შეყო თავი ბიძინა ივანიშვილმა, ვიდრე იქიდან ახვლედიანი გამოდის. ამ პარტიამ ისტორიული მისია შეასრულა ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით და, თუ ამ პარტიას პრობლემები აქვს, გაქცევა კი არა, გვერდში დგომა უნდა!

***– რატომ არის განაწყენებული არმაზ ახვლედიანი?***

– ეს ახვლედიანს უნდა ჰკითხოთ. მე ვთვლი, რომ მას მეტი პოლიტიკური ამბიცია ჰქონდა. არ არის ამაში რაღაც კატასტროფული, როცა პოლიტიკური ამბიცია აქვს ადამიანს. როგორც ჩანს, არმაზს სხვა პოლიტიკურ ძალაში ელოდებიან და სწორედ ეს მომენტი იყო, მან თავისი მისია შეასრულა „ქართულ ოცნებაში“ მისი შიგნიდან კრიტიკით. ახლა კი გამოჩნდება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

***– წინასაარჩევნოდ ახვლედიანის ასეთი ხმამაღალი განცხადებები არ დაარტყამს „ქართული ოცნების“ იმიჯს?***

– ვინმეს „ქართული ოცნებისთვის“ თუ რამის დაშავება უნდა, მას მინიმუმ რაღაც წონა უნდა ჰქონდეს და მე ვერ ვხედავ ბატონ არმაზში იმ წონას, რომელსაც შეუძლია, პარტიას ზიანი მიაყენოს. როგორც ჩანს, ეს ადამიანი გაერიდა პრობლემებს და სხვა მისია აკისრია. არა მგონია, ასეთმა ადამიანმა პრობლემები შეგვიქმნას.

***– თუმცა ვხედავთ, რომ სერიოზულ პრობლემებს გიქმნით თამაზ მეჭიაური. ამის შესახებ რას იტყვით?***

– იცით, რა არის? გეტყვით, რომ მართლაც დისკომფორტია, როცა ჩვენი კოლეგა, ჩვენი გუნდის წევრი ხელისუფლების პოლიტიკასთან აცდენილ განცხადებებს აკეთებს, მაგრამ ბატონი მეჭიაურის განცხადებები ვერ შეცვლის და ვერ მოახდენს დიდ გავლენას „ქართული ოცნების“ პოლიტიკაზე.

სამწუხაროა, რომ ასეთი განცხადებები გვესმის, სამწუხაროა, რომ იქ, სადაც ძალიან პრინციპული პოზიციები უნდა გვქონდეს, მტკიცე პოზიციები უნდა გვქონდეს, ჩვენი გუნდის წევრები თავს უფლებას აძლევენ და საკუთარი აზრის გამოთქმით არიან დაკავებული.

***– აზრის გამოთქმა დანაშაულია?***

– აზრის გამოთქმა ნამდვილად არ არის დანაშაული, პირიქით, თუმცა, როცა პრინციპული პოზიციებია, იქ უმჯობესია, პატივი სცე უმრავლესობას და გუნდური მიდგომები გქონდეს. თუმცა, საერთო ჯამში, ეს ვერანაირ შეფერხებას ვერ გამოიწვევს „ქართული ოცნების“ პოლიტიკის გატარებაში.

***– რესპუბლიკელებს მიაჩნიათ, რომ მეჭიაური კოალიციიდან უნდა გაირიცხოს. როგორია თქვენი დამოკიდებულება? დადგება დღის წესრიგში ეს საკითხი?***

– დავით ბერძენიშვილის განცხადებას მე უფრო აღვიქვამ, როგორც მათი პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნოდ გაკეთებულ განცხადებას და მმართველი გუნდისთვის იმიჯის შელახვის მცდელობას. დავით ბერძენიშვილის დაძახებულზე ჩვენ რომ არ მივიღებთ გადაწყვეტილებას, ეს მანაც ძალიან კარგად იცის! თუმცა მან გაიწია და პრემიერსა და ბიძინა ივანიშვილს მიმართა, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მისი ამბიციები არის ის, რომ მხოლოდ უმაღლეს თანამდებობის პირსა და ჩვენი პარტიის დამფუძნებელს ელაპარაკოს.

ეს ჩვეულებრივად იკითხება, ამაში კატასტროფა არაფერია. ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ, ვინ, სად, როგორ და რანაირად მოიქცეს და არ დაგვჭირდება მითითებები, განსაკუთრებით იმ ძალებისგან, რომლებსაც არანაკლები შეცდომები აქვთ დაშვებული, როცა საქმე ერთიანობას ეხება!

***– ასევე არ ემთხვევა რესპუბლიკელი მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებები მმართველი გუნდის მიდგომებს. რა ხდება, სერიოზულ დაპირისპირებას აქვს ადგილი?***

– ეს ჩვეულებრივი, სტანდარტული მიდგომაა. ჩვენ შეჩვეული ვართ, რომ რესპუბლიკური პარტია საკუთარ თავს, საკუთარ გუნდის წევრებს, რაც უნდა მოხდეს, მარტო აქებს, იცავს და ხშირ შემთხვევაში ობიექტურობა ავიწყდება. მე მიმაჩნია, რომ სადაც მთავრობაა, იქ მეტი ერთიანობაა საჭირო.

ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა კარგად იცის, რომ მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ეროვნულ გზაზე სწრაფი და ადეკვატური ნაბიჯები გადადგას, ხოლო ერთი მხრიდან კრიტიკა ვიწროპარტიულ ინტერესებთან არის დაკავშირებული. ვიწროპარტიული ინტერესების გატარება ცუდი არ არის, ჩვეულებრივი მომენტია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, როცა მთავრობაში ხარ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გაქვს, ვიდრე ვიწროპარტიული ინტერესებია!

***– წინასაარჩევნოდ რესპუბლიკური პარტია მწვავე ოპოზიციაში გადადის და გიპირისპირდებათ? ამავე დროს, მათ მინისტრები ჰყავთ მთავრობაში და ეს რამდენად შეთავსებადი იქნება?***

– მე მჯერა, რომ ჩვენ არჩევნების გამოცხადებამდე შევძლებთ და მთელ პასუხისმგებლობას ყველა ერთად და სწორად გავიაზრებთ, მათ შორის პარლამენტში, მთავრობაში. მე არ მაქვს სურვილი, რომ ჩვენ შიგნით ბუნტი დავიწყოთ.

***– ძალიან დიდი ინტერესია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიასთან დაკავშირებით. რა ცვლილებებია, შეგიძლიათ, ამ კუთხით რაიმე გაგვიმხილოთ?***

– მოდით, ამ ყველაფერს შევინახავ და ამაზე ღიად არ ვისაუბრებ. 14-ში ყრილობაა, ბევრი სიახლე გველოდება, ამიტომ წინასწარ ამაზე არ ვისაუბრებ.

***– თქვენ გაქვთ იმის იმედი, რომ კვლავ უმრავლესობას მოიპოვებთ? ბევრი გიწინასწარმეტყველებთ, რომ 50%-იან ბარიერს ვერ გადალახავთ.***

– დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არათუ 50%-იან ბარიერს გადავლახავთ, არამედ, ძალიან ძლიერ უმრავლესობას შევქმნით. თუმცა, რასაკვირველია, ვიაზრებ იმასაც, რომ გარემო საკმაოდ კონკურენტული იქნება. ისიც მაქვს გააზრებული, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას სიტუაციის არევა სურს.

***– ის მაინც გაგვიმხილეთ, თავად თქვენ თუ ხართ „ოცნების“ გამსვლელ სიაში?***

– არავითარ შემთხვევაში! მე ნამდვილად არ მჩვევია წინასწარ რამე ინფორმაციის გაჟღერება.

***– ოპონენტებზე საუბრობდით და ის, რაც ნაციონალურ მოძრაობაში ხდება, თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს?***

– ნაციონალურმა მოძრაობამ, ბატონი ვაშაძის მეთაურობით, თვითლუსტრაცია მოახდინა. ეს თვითლუსტრაცია მდგომარეობს იმაში, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაზე კარგად იცის, 10 კაცზე მეტის გაყვანის შანსი არ აქვს! ეს 10 კაცი კი არის მაქსიმუმ 12-13%. სწორედ ამ 10 კაცისთვის მიდის ჭიდაობა შიგნით. აი, ეს არის მათი რეალური სახე.

# წინასაარჩევნო კამპანია 8 ივლისიდან დაიწყება




საქართველოში წინასაარჩევნო კამპანია 8 ივლისიდან დაიწყება.

ამის შესახებ პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ, 10 მაისს, განაცხადა.

პრეზიდენტმა არჩევნების საკითხზე პირველად განკარგულება 5 აპრილს გამოსცა, 6 აპრილს კი კონტრასიგნაციისთვის პრემიერ-მინისტრს გადაუგზავნა. მაშინ მთავრობის მეთაურმა სამართლებრივი აქტის ხელმოწერაზე უარი თქვა და განკარგულება შენიშვნებითურთ ქვეყნის პირველ პირს უკან დაუბრუნა.

გიორგი კვირიკაშვილმა პრეზიდენტს თხოვნითაც მიმართა, რომ ახალი სამართლებრივი აქტი ივლისში გამოეცა, რადგან ქვეყნის ბიუჯეტს 6-7-თვიანი საარჩევნო კამპანიის წარმოების ფუფუნება არ ჰქონდა.

პრემიერის აღნიშნულ პოზიციაზე საპასუხოდ, თავის მხრივ, პრეზიდენტმა ახალი განკარგულების გამოცემა მაისის დასაწყისში დააანონსა.

ამის შემდეგ პოლიტიკური პარტიებიც და არასამთავრობო სექტორიც პრეზიდენტს არჩევნებთან დაკავშირებული ახალი განკარგულების გამოცემამდე მთავრობასთან კონსულტაციების ხელახლა გავლას ურჩევდნენ.

გუშინ გაიმართა კონსულტაციები პრეზიდენტ მარგველაშვილს, პრემიერ კვირიკაშვილს, პარლამენტის სპიკერ უსუფაშვილსა და ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას შორის. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გამოაცხადა პრეზიდენტმა წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისად 8 ივლისი.

უცვლელია არჩევნების თარიღი. ის 8 ოქტომბერს გაიმართება.

# სოსო ჯაჭვლიანი: „რესპუბლიკელებმა თავიანთ მამიდას მიხედონ“

## რა ინფორმაციის გავრცელებით ემუქრება თოფაძე ბერძენიშვილებს

შორენა მარსაგიშვილი

**კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დაპირისპირების გაზაფხული-ზაფხულის სეზონი საზეიმოდ გაიხსნა. დაპირისპირება ამჯერად ამერიკულ ტანკებს მოჰყვა. დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ ამით საქართველო საფრთხის წინაშე დგას. ამან თავდაცვის მინისტრი აადელვა და სოციალურ ქსელში დეპუტატი შემოელანძღა. ვალში მას არც მეჭიაური დარჩენია და თინა ხიდაშელს „კუხნისკენ“ მიუთითა.**

ამერიკული ტანკებისა და თანაპარტიელის აუგად ხსენებამ რესპუბლიკური პარტია გააცეცხლა. წყობილებიდან განსაკუთრებით ძმები ბერძენიშვილები გამოვიდნენ. მათ მეოცნებეებს თამაზ მეჭიაურის პარტიიდან გარიცხვა მოსთხოვეს.



მეჭიაური ამ მოთხოვნას მშვიდად შეხვდა და პარტიიდან წასვლაზე მზადყოფნა გამოთქვა. ამის სანაცვლოდ მან მცირედი რამ მოითხოვა.

– თუ რესპუბლიკელები პარლამენტსა და მთავრობაში დაკავებულ თანამდებობას დატოვებენ, მზად ვარ, პარტიიდანაც წავიდე და თანამდებობაც დავტოვო, – განაცხადა საგანგებო ბრიფინგზე მეჭიაურმა.

ცნობისათვის, მეჭიაური პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეა.

რესპუბლიკელების მოთხოვნამ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილის გარეშე „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთს დაჭამენ“

## „რესპუბლიკელებს კარის ხმამაღლა გაჯახუნება სურთ“

შორენა მარსაგიშვილი

**რის მიღწევას ცდილობენ რესპუბლიკელები, რას ელოდება ივანიშვილი, ვინ არის მთავარი მოთამაშე ქართულ პოლიტიკაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***– რესპუბლიკელებსა და კოალიციაში შემავალ სხვა სუბიექტებს შორის დაპირისპირების ახალი ფაზა დაიწყო. სადამდე შეიძლება ეს გაგრძელდეს?***

– ამ ძალებს აქვთ განსხვავებული მსოფლმხედველობა და სანამ ეს განსხვავება იარსებებს, დაპირისპირებაც იქნება. ყველა პოლიტიკურ ძალას თავისი შეხედულება აქვს და ბუნებაში ხელოვნური წყვილები არ უნდა არსებობდნენ.

საქართველოში მიღებულია: ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ იტანს, მაგრამ ოჯახური „სიწმინდის“ სახელით აგრძელებენ თანაცხოვრებას. პოლიტიკაში ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და როცა პარტიები ერთმანეთს ვერ იტანენ, გაყრა უნდა შედგეს. აქ რესპუბლიკელების პოზიცია უკვე გაუგებარია. ისინი აცხადებენ, რომ დამოუკიდებლად გამოვლენ არჩევნებზე, ამ დროს ისტერიულად ებღაუჭებიან პორტფელებს. ასეთი პოზიცია მათთვის არის საზიანო. საინტერესოა, სად არის მათი ამომრჩეველი, რომლის დახმარებითაც ისინი არჩევნების მოგებას აპირებენ.

ეს ყველაფერი იწვევს დაძაბულობას. მე არ მესმის, რაში სჭირდებათ ეს ხელოვნური გაუგებრობები. მეჭიაურის განცხადებების დრამატიზებით, შესაძლოა, ისინი სპეცოპერაციის ჩატარებას აპირებენ.

***– რა სპეცოპერაციას უნდა ველოდოთ მათგან?***

– ამ სპეცოპერაციას კარის გაჯახუნება ჰქვია. შესაძლოა, ისინი იმის გამეორებას აპირებენ, რაც 2014 წელს გააკეთა ირაკლი ალასანიამ თავისუფალ დემოკრატებთან ერთად.

***– არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, როცა გარკვეულია, რომ ისინი ცალკე გამოვლენ არჩევნებზე, კარის გაჯახუნება დაგვიანებული ხომ არ იქნება?***

– კარის გაჯახუნებას ისინი ძალიან უხარისხოდ ცდილობენ. მათი ქმედებები ძალიან სასაცილოდ გამოიყურება. დაბნეულები არიან და უკვე თავადაც აღარ იციან, რა უნდათ ამ ცხოვრებისგან.

***– დაბნეულობით არის ვითომ გამოწვეული მათი მხრიდან კოალიციისთვის ულტიმატუმის წაყენება? ბერძენიშვილები მეჭიაურის გარდა უკვე თოფაძის და ჯაჭვლიანის გარიცხვასაც ითხოვენ.***

– ძალიან მიჭირს მათი ქმედებები შევაფასო. საქციელწამხდარი ბავშვებივით იქცევიან. როგორ შეიძლება სხვა პარტიას მიუთითო ვიღაცის გაშვებისკენ. მით უმეტეს მაშინ, როცა იმედი არ გაქვს, რომ სამომავლოდ მასთან პოლიტიკურ პარტნიორობას გააგრძელებენ.

ცდილობენ, თავი ყველაზე კორექტულ ძალად წარმოაჩინონ, ამ დროს ყველაზე არაადეკვატურად გამოიყურებიან, რაც მათ ისედაც ბუნდოვან პერსპექტივას კიდევ უფრო ამძიმებს.

***– ზემოთ ახსენეთ, მეჭიაურის განცხადებების დრამატიზებას ახდენენო. ამით დასავლეთის თვალში ხომ არ უნდათ პოლიტიკური ქულების დაწერა?***

– გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში მხარდამჭერები არ ჰყავთ, არაა გასაკვირი, დასავლეთზე გააკეთონ აქცენტი. ამ დასავლურ ფლანგზე პარტიების ისეთი სიმჭიდროვეა, რომ იქაც საკმაოდ გაუჭირდებათ ადგილის პოვნა, იქ ძალიან მაღალი კონკურენციაა.

რატომღაც მგონია, რომ მათი ასეთი ქმედებები მაინც დაბნეულობით არის გამოწვეული. ვერაფრით ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. წლების განმავლობაში ხელისუფლებაში უკანა კარიდან იყვნენ. ისინი ხალხზე, როგორც ძალაუფლების წყაროზე, არასოდეს აკეთებდნენ ორიენტაციას. მათი ორიენტირი იყო ბიძინა ივანიშვილი და მასთან ალაგებდნენ სიტუაციას.

ამ დალაგებებში ამომრჩეველთან საერთოდ დაკარგეს კომუნიკაცია. ახლა ძალიან უჭირთ ახალი ციკლის წამოწყება. არ უნდათ იმის გახსენება, რომ ძალაუფლების წყარო ხალხია და არა სხვა ვინმე. როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, პერსპექტივას ვერ ხედავენ. ვერც პოლიტიკური პარტნიორები იპოვეს.

***– პოლიტიკურ პარტნიორებს რატომ ვერ პოულობენ?***

– იმიტომ, რომ ღამურას პოზიციაში აღმოჩნდნენ – არც მიწის არიან და არც ცისა. ასეთ ვითარებაში რომ აღმოჩნდება პარტია, შეცდომას შეცდომაზე დაუშვებს. ამიტომ რაღაც მომენტში მათაც უნდა გავუგოთ.

***– ზემოთ ახსენეთ რესპუბლიკელები ივანიშვილთან ალაგებდნენ სიტუაციებსო. ასევე იქცეოდნენ კოალიციაში შემავალი სხვა პარტიებიც. მოსახლეობა კი ელოდება, რომ ის საარჩევნოდ მმართველ გუნდში არსებულ ვითარებას დაალაგებს. ის დაგვპირდა, რომ თებერვლიდან ჩაერთვებოდა პროცესებში. რატომ აგვიანებს გამოჩენას?***

– მან განაცხადა, რომ პროცესებში აქტიურად ჩაერეოდა, ამის მიუხედავად, პროცესებისგან დისტანცირებულია. ამაში ლოგიკის დანახვა შეიძლება. იმისთვის, რომ დაავადების მკურნალობა დაიწყო, ჯერ მისი პროვოცირება უნდა მოახდინო, რომ კრიტიკული მასა ბოლომდე გამოვლინდეს. შესაძლოა, მისი განზე დგომის ტაქტიკა ამით არის განპირობებული.

მის გარეშე ამ არეულობის დალაგება შეუძლებელი იქნება. ამ შემთხვევაში მარტო რესპუბლიკელებთან დაკავშირებულ პროცესებს არ ვგულისხმობ. შიგნით, პარტია „ქართულ ოცნებაშიც“ ძალიან გაჭირდება სიტუაციის დალაგება. ძალიან მალე იქაც დაჭამენ ერთმანეთს. იქაც სერიოზული ეკლექტიკა ჩანს. მამათა და შვილთა ბრძოლაა მოსალოდნელი. ვიღაცები განახლებაზე საუბრობენ, რასაც ძველები აუცილებლად შეეწინააღმდეგებიან.

რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ, ბიძინა ივანიშვილი არის ერთადერთი გარანტი როგორც პარტიული, ასევე სახელმწიფოებრივი სტაბილურობის. ღმერთმა არ ქნას, რომ ის ბოლომდე პასიური იყოს ამ პროცესში.

***– მისი პასიურობის შემთხვევაში არეულობა ელოდება ქვეყანას?***

– მისი პასიურობის შემთხვევაში მოვლენები ძალიან დრამატულად განვითარდება. შესაძლებელია ივანიშვილი იმიტომაც არ ჩქარობს, რომ ყველამ დაინახოს მისი საჭიროება და მოხდეს მისი როლის აღიარება.

***– მის როლს ისედაც ხომ აღიარებენ?***

– ისედაც აღიარებენ, მაგრამ ეს აღიარება არის ყალბი. ადამიანები ძალიან ამბიციურები არიან და ვიღაცებს „ქართულ ოცნებაში“ გაუჩნდათ იმის ილუზია, რომ მათ ქვეყნის მართვა შეუძლიათ. ასე ნამდვილად არ არის. ბიძინა ივანიშვილი ამით ალბათ უკმაყოფილოა და შესაძლოა, ელოდება, როდის წაიმტვრევენ კისერს. ელოდება, როდის მიხვდებიან, რომ ჰალსტუხის და შავი ჯიპის უკან არაფერი დგას.

ძალიან მიკვირს, „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენელი ამას რატომ ვერ ხვდება. ამას მხოლოდ ერთი ახსნა აქვს – პატარა ადამიანებს დიდი ამბიციები აწუხებთ. ასეთები მმართველ გუნდში, სამწუხაროდ, მრავლად არიან.

***– ზემოთ აღნიშნეთ, „ქართულ ოცნებაშიც“ დაჭამენ ერთმანეთსო. პარტია დატოვა მისმა პოლიტიკურმა მდივანმა არმაზ ახვლედიანმა. არის თუ არა ეს დაჭმის დასაწყისი?***

– არმაზ ახვლედიანი საერთოდ გაუგებრობაა და მისი წასვლა-წამოსვლა, ისევე, როგორც სხვების, აქტუალური არ არის. რამდენიმე თვის წინ



## „პატარა ადამიანებს დიდი ამბიციები აწუხებთ“

პრემიერი გადადგა და 3 დღეში ბუშტივით გასკდა და ახვლედიანი ვის აინტერესებს? მით უმეტეს, რომ პროცესებში არ მონაწილეობდა და რაღაც გაუგებარი განცხადებების კეთებით იყო დაკავებული. ერთმანეთის დაჭმას ცოტა ხანში დაიწყებენ და მაშინ ალბათ ივანიშვილიც გამოჩნდება.

***– როდის უნდა ველოდოთ მის გამოჩენას? იმის ლოდინში, რომ დაავადება ბოლომდე იჩენს თავს, არ დააგვიანდეს.***

– წესით, ახლო მომავალში უნდა გამოჩნდეს. არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და საარჩევნო სიის ფორმირება მის გარეშე შეუძლებელი იქნება.

***– თავად ამბობენ, რომ ივანიშვილი სიის ფორმირებაში არ ერევა.***

– თავად ბევრ რამეს ამბობენ. ივანიშვილის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტას სერიოზული პრობლემები მოჰყვება. რაც შეეხება მის საჯარო გამოჩენას, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა სიმწვავით განვითარდება წინასაარჩევნო კამპანია. ის იმ დოზით გამოჩნდება, რა დოზითაც საჭირო იქნება. ბევრს შეიძლება არ სურს ამის აღიარება მაგრამ ასეა, რომ დღეს ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ ორი ძირითადი მოთამაშეა. ესენი არიან ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი.

პრემიერი წავიდა, კოალიცია დაიშალა, მაგრამ ამას პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა არ მოუხდენია. „ქართული ოცნება“ მისი ნიშნით ვითარდება. იგივე პროცესი მიდის ნაციონალურ მოძრაობაში. რამდენიმე დღის წინ წავიდა ვაშაძე, ერთი წლის წინ წავიდნენ გირჩები, მაგრამ იქაც არაფერი მომხდარა. იმიტომ არ მომხდარა, რომ იქ მთავარია სააკაშვილი. აქედან გამომდინარე, ისინი არიან მთავარი მოთამაშეები. სხვა საკითხია, რომ არც ერთი მათგანი არ არის ლეგიტიმური.

***– ლეგიტიმურები რატომ არ არიან?***

– იმიტომ, რომ მათი მთავარი ოპონენტი პოლიტიკური სპექტრი არ არის. არც ერთმანეთის ოპონენტები აღარ არიან. მათ მთავარ მოწინააღმდეგედ ქართველი საზოგადოება ჩამოყალიბდა. საზოგადოება არ გახლავთ პოლიტიკური ერთეული, მაგრამ ის არის ძალა, რომლის დამარცხებაც არის შეუძლებელი.

არც ერთად და არც ცალ-ცალკე ისინი საზოგადოებას ვერ დაამარცხებენ, ამის მიუხედავად, პოლიტიკურ მოედანზე ეს ორი ადამიანი რჩება მთავარ მოთამაშედ. საზოგადოება მთლიანად პოლიტიკურ ელიტას ეუბნება უარს და სახელმწიფოებრივი კრიზისი სწორედ ამ ჭრილიდან ჩანს.

***– თქვით, რომ ნაციონალები სააკაშვილის გარეშე ვერაფერს გახდებიან. გაგირჩებული გოგა ხაჩიძე კი მიიჩნევს, რომ მან პარტიაზე კონტროლი დაკარგა.***

– ბიძინა ივანიშვილზეც ამბობენ, რომ შიდა პარტიულ საქმეებში არ ჩაერევა. ეს ყველაფერი არის ილუზია. არ გამოვრიცხავ, რომ გოგა ხაჩიძე მართლაც ასე ფიქრობდეს. ის, ეტყობა, ვერ ხვდება, სად არის სიმძიმის ცენტრი და მართლა ფიქრობს, რომ ზურაბ ჯაფარიძე ლიდერია.

სააკაშვილის და ივანიშვილის გარდა, მათ გუნდებში ყველა პაიკია. არც ერთ მათგანს ნაციონალურ ლიდერად ჩამოყალიბების პერსპექტივა არ აქვს. ვაშაძემაც თქვა, სააკაშვილს რაღაც ჯგუფი ებრძოდა და ამიტომ წამოვედიო. არ გამოვრიცხავ, რომ მას იმ ჯგუფთან, რომელიც ახლა პარტიას ტექნიკურად მართავს, მართლაც აქვს პრობლემები. ამის მიუხედავად, სააკაშვილმაც და ამ გუნდმაც კარგად იციან, რომ ერთმანეთი სჭირდებათ. ისინი მანამდე ითანამშრომლებენ, სანამ ამის რესურსი აქვთ.

# სოსო ჯაჭვლიანი: „რესპუბლიკელებმა თავიანთ მამიდას მიხედონ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მეოცნებეებში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მათ ჯერ კიდევ თანაკოალიციელებს შეახსენეს, რომ მათი მოთხოვნის საფუძველზე თანაპარტიელს არ გარიცხავენ და არც საჯაროდ დასჯიან.

სამაგიეროდ, ამ დაპირისპირების განხილვა პოლიტსაბჭოზე იგეგმება. პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა



კობახიძე ამბობს, რომ მეჭიაურის ბედი ამ შეხვედრაზე გადაწყდება.

– თუ კითხვას სვამთ, ნატო თუ რუსეთი, მე გეტყვით, რომ ნატო. თუ კითხვას სვამთ, ევროკავშირი თუ ესენგე, გეტყვით, რომ ევროკავშირი. თუ ამბობთ, ბერძენიშვილი თუ მეჭიაური, ნუ, მეჭიაური. მეჭიაურის პოზიცია არის ერთი ინდივიდუალური დეპუტატის მოსაზრება. მგონი, აქ გარიცხვაზე არ დგას საუბარი. როდესაც ადამიანები აცნობიერებენ, რომ პოზიციები არის განსხვავებული, მკვეთრად განსხვავებული და, მით უმეტეს, ძალიან პრინციპულ და სტრატეგიულ საკითხებზე, ამ შემთხვევაში, პოლიტიკოსები იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს არის შიდაპარტიული საკითხი, რომელიც გადაწყდება, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

რესპუბლიკელებს გული ზვიად კვაჭანტირაძემაც ატკინა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის თქმით, რესპუბლიკელების მოთხოვნის საფუძველზე ისინი კოლეგას არ გაამათრახებენ.

* * *

თამაზ მეჭიაურის გარდა, რესპუბლიკელებმა იერიში სოსო ჯაჭვლიანსა და გოგი თოფაძეზეც მიიტანეს და მათი გარიცხვაც მოითხოვეს.

გარიცხვისთვის განწირულმა ჯაჭვლიანმა რესპუბლიკელებს მოუწოდა, სხვა პარტიის საქმიანობაში არ ჩაერიოს. მას ეს განცხადება ზურაბ ტყემალაძის ფრაზამ გააკეთებინა.

ამ უკანასკნელმა, მოისმინა რა რესპუბლიკელების მოთხოვნა თოფაძეზე, ოპონენტებს დაუბარა, ყველამ თავის მამიდას მიხედოსო.

– 9 მაისს მოვისმინე ფრაზა „ყველამ თავის მამიდას მოუაროსო“ და ისე გავმხიარულდი, მეტი რომ არ შეიძლება. მამიდაჩემს ჰქვია ძალიან მაგარი საყვარელი სახელი, დოლი ჯაჭვლიანი – უპატიოსნესი ქალია, ძალიან მაგარი ქალია. ამიტომ ყველამ დაასახელოს თავისი მამიდის სახელები და გვარები, მოუარონ თავიანთ მამიდებს და ნუ ერევიან სხვისი პარტიის საქმეში, – განაცხადა სოსო ჯაჭვლიანმა.

დუმილის უფლება არც რესპებთან ომში გამოწრთობილ გოგი თოფაძეს გამოუყენებია. ის დიდი ენთუზიაზმით ჩაერთო ამ დაპირისპირებაში და სკანდალური ინფორმაციის გაჟღერებით დაიმუქრა.

– ძმებ ბერძენიშვილებზე ყველაფერი არ მითქვამს და არ ამალაპარაკონ, – განაცხადა მედიასთან საუბარში თოფაძემ.

ის არ აკონკრეტებს, რა ინფორმაციები აქვს ძმებზე, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ინფორმაცია სკანდალურია.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზურაბ აბაშიძე: „რესპუბლიკური პარტია დღემდე ვერ გარკვეულა, ოპოზიციაშია თუ ხელისუფლებაში“

ნათია ხურცილავა

**თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ხელისუფლებასა და რესპუბლიკურ პარტიას შორის გაურკვევლობა დიდხანს ვერ გაგრძელდება.**




***– ბატონო ზურაბ, კვლავ მორიგი დაპირისპირების მოწმენი ვართ რესპუბლიკელებს, პრემიერსა და უმრავლესობას შორის. ექსპერტების ნაწილი აცხადებს, რომ რესპუბლიკელები ხელსაყრელ დროს ეძებენ, რათა, ალასანიას პარტიის მსგავსად, ხმაურიანად დატოვონ სახელისუფლებო გუნდი და ოპოზიციაში გადავიდნენ. შეიძლება მოვლენები ამ სცენარით განვითარდეს?***

– მთელი ეს პროცესი ძალიან კომიკურად გამოიყურება. ამ ვითარებაში კომიკურად გამოიყურება თავად „ქართული ოცნება“ და არანაკლებ კომიკურად გამოიყურება რესპუბლიკური პარტია, რომელიც დღემდე ვერ გარკვეულა, ოპოზიციაშია თუ ხელისუფლებაში. საერთოდ ვერ გავიგეთ, რა უნდათ, რაღაც კონკურენტულ რეჟიმზე გვესაუბრებიან და ამ დროს მინისტრთა კაბინეტში პოსტებს იკავებენ. ოპონირებაზე საუბრობენ „ოცნებასთან“, მაგრამ გაურკვეველია, რა ფორმატია ეს.

ნაკლებად მადარდებს ან ერთი, ან მეორე ძალის მომავალი, მაგრამ აქ საუბარია ხალხში გაჩენილ ნიჰილიზმზე, იმ პროტესტზე, რომელიც ადამიანებს აქვთ ზოგადად პოლიტიკური პარტიების მიმართ. ეს ორი პარტია საუკეთესო მაგალითია სწორედ ამ განწყობების ამომრჩეველში დამკვიდრებისა. არაფერს აღარ ვამბობ ნაციონალურ მოძრაობაზე.

***– რესპუბლიკელებს აქამდეც უნდა დაეტოვებინათ მინისტრთა კაბინეტი? ისინი ამბობენ, რომ ეს პრემიერსა და მათი პარტიის დღის წესრიგზე იქნება დამოკიდებული.***

– ამომრჩეველი არჩევნებზე მხარს უჭერს ან ხელისუფლებას, ან ოპოზიციას. გაურკვეველ მდგომარეობას მხარს ვერ დაუჭერს. ეს ადამიანები ხელისუფლებაში არიან და მოქმედებენ ხელისუფლების პოზიციიდან გამომდინარე თუ ოპოზიციური შეხედულებებით გამოდიან და ამბობენ, რომ უამრავი რამ უნდა შეიცვალოს. ეს განმარტებები მათ უნდა გააკეთონ საზოგადოებისთვის, ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ალბათ, ასე გაურკვევლად დიდხანს ვერ გასტანს ეს მდგომარეობა. გარკვეულობა აუცილებელია და ეს უნდა გააცნობიეროს ორივე მხარემ.

***– თქვენ არ ფიქრობთ, რომ მოვლენები ისე განვითარდება, როგორც ეს მოხდა თავისუფალი დემოკრატების შემთხვევაში?***

– თავისუფალი დემოკრატებისა და ალასანიას მიერ ხელისუფლების დატოვებას განსხვავებული ისტორია ჰქონდა. საერთოს ვერ ვხედავ რესპუბლიკელების დღეს ხელისუფლებაში ყოფნასა და იმას შორის, როდესაც ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში და როდესაც დავტოვეთ ხელისუფლება. ჩვენ თანამდებობები ძალიან ღირსეულად დავტოვეთ. თანამდებობა საშუალებაა კარგი საქმის გასაკეთებლად და არა – კომფორტის შესაქმნელი გზა.

***– საგარეო კურსი თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც იწვევდა ასეთ გაუგებრობებს გუნდის შიგნით? იყო ხოლმე ამაზე განსხვავებული პოზიციები შიგნით?***

– დღეს ეს ყველაფერი უფრო ხილული და თვალშისაცემი გახდა. ხელისუფლება დღემდე ვერ გაერკვა საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. საშინაო პოლიტიკაზე ხომ საერთოდ არ არის საუბარი.

***– პრემიერმა გააკეთა განმარტება და განაცხადა, რომ ხელისუფლებისა და დეპუტატ მეჭიაურის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვევა. არ არის საკმარისი თუ თქვენც უფრო მკვეთრ ნაბიჯს ითხოვთ?***

– მე ეს ნაკლებად მაინტერესებს. არ მაინტერესებს, რას იტყვის მეჭიაური და რას უპასუხებს პრემიერ-მინისტრი.

***– აქ საუბარია ქვეყნის საგარეო კურსზე.***

– ამ საკითხზე ერთიანი ხედვა არ არის. მეჭიაურმა ასეთი განცხადებაც გააკეთა: თავად პრემიერი არ არის დარწმუნებული ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით და ისიც მერყეობსო. ამ განცხადების შემდეგ თქვენ ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფენომენთან გვაქვს საქმე, როგორი პოლიტიკური აზროვნებაა. არათუ კოალიციაში იყო განსხვავებული შეხედულებები, არამედ თავად პარტიაშია ასეთი სურათი.

პარტია „ქართული ოცნება“ მესიჯბოქსებს ვერ ადგენს. ეს უკვე არა მხოლოდ ერთი პარტიის, არამედ, ჩვენდა საუბედუროდ, ქვეყნის პრობლემაა. „ქართული ოცნება“ საერთო ღირებულებებსა და იდეაზე არ იდგა. თავის დროზე ამ კოალიციას ერთადერთი მიზანი ჰქონდა – სააკაშვილის რეჟიმი დაემარცხებინა. ბატონი ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანება სწორედ ამ მიზნით მოხდა. ეს მისია ძალიან მაღალ დონეზე იქნა შესრულებული, მაგრამ მეორე ნაწილი ვეღარ შესრულდა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ სააკაშვილის დამარცხებას ქვეყნის აღმშენებლობა, გაცემული დაპირებების შესრულება უნდა მოჰყოლოდა. ადამიანებში ძალიან მაღალი იყო მოლოდინი, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა.

***– ბატონო ზურაბ, თქვენმა გუნდმაც გასცა დაპირებები.***

– და ჩვენ ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას, მაგრამ მაშინ სააკაშვილის რეჟიმის გასტუმრება იყო ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი და ამ საქმის წარმატებით განხორციელებაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ. ვიმეორებ, პასუხისმგებლობას არ გავურბივართ.

## ირაკლი კობახიძე: „არმაზ ახვლედიანი დიდი ხანია პარტიის წევრი აღარ არის“



– არმაზ ახვლედიანი დიდი ხანია პარტიის წევრი აღარ არის, – განუცხადა ჟურნალისტებს პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, აქედან გამომდინარე, ახვლედიანის განცხადებაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება გაუჭირდება.

**ირაკლი კობახიძე:**

– არმაზ ახვლედიანი დიდი ხანია წავიდა პარტიიდან. ამასთან დაკავშირებით განცხადებაც გაკეთდა. მას დიდი ხანია დატოვებული აქვს პოლიტსაბჭო და, აქედან გამომდინარე, მის განცხადებაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება გამიჭირდება.

კობახიძის განმარტებით, არმაზ ახვლედიანს არანაირი ინფორმაცია არ აქვს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს პარტიაში.

– მას ინფორმაციები არ აქვს იმის თაობაზე, თუ რა პროცესები მიდის პარტიაში. აქედან გამომდინარე, მის განცხადებებს სერიოზულად ვერ მოვეკიდებით. არმაზ ახვლედიანი დიდი ხანია არ არის ჩართული პარტიულ პროცესებში. ის, რომ არმაზ ახვლედიანი აღარ არის „ქართულ ოცნებაში“, იმას ნიშნავს, რომ პარტია სერიოზულად მუშაობს თავის გაჯანსაღებაზე, მათ შორის საკადრო მიმართულებით, – განაცხადა კობახიძემ და აღნიშნა, რომ ახვლედიანს პოლიტსაბჭოს წევრობა დაახლოებით ერთი წლის წინ შეუჩერდა.

**ინტერპრესნიუსი**

## გია ვოლსკი: „არმაზ ახვლედიანის მარგი ქმედების კოეფიციენტი დაბალი იყო“

მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი აფასებს არმაზ ახვლედიანის პარტიულ საქმიანობას, რომელმაც „ქართული ოცნების“ დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც ვოლსკიმ ჟურნალისტებს განუცხადა, ახვლედიანი პარტიიდან არ გაურიცხავთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ეს მის დადებით მხარეს არ შეეფერებოდა“.

**გია ვოლსკი:**

– თუ რამე არ მიყვარს, ეს არის პიროვნებებზე ლაპარაკი. არმაზს ჩემ მიმართ უარყოფით კონტექსტში არაფერი უთქვამს.

ცხოვრება გაცილებით რთულია, ვიდრე ჩემი ფილოსოფია ან არმაზ ახვლედიანია. მას პარტიულ საქმიანობაში არც აქტიური და არც პასიური მონაწილეობა არ მიუღია. არ გავრიცხეთ, რადგან ეს მის დადებით მხარეს არ შეეფერებოდა და შევუჩერეთ პოლიტსაჭოს წევრობა. პროცესებში არ მონაწილეობდა – მარგი ქმედების კოეფიციენტი მისი მხრიდან იყო დაბალი, ასევე განცხადებები, რომლებსაც




აკეთებდა, გვიქმნიდა გარკვეულ პრობლემებს და არაეთიკური იყო კოლეგების მიმართ.

**ინტერპრესნიუსი**

## არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ ფარულად უსმენენ

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ მას ფარულად უსმენენ.

ახვლედიანი უკანონო მოსმენებში „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და მათ მიღმა მყოფ სამართალდამცავ სტრუქტურებს ადანაშაულებს.

**არმაზ ახვლედიანი:**

– მე მინდა ვუთხრა „ოცნების“ ხელმძღვანელობასა და მის მიღმა მყოფ სამართალდამცველებს, რომ მოუძველდათ მეთოდები. დღესაც ასე აშკარად და დაუფარავად მოსმენა და ასეთი ფორმების გამოყენება პოლიტიკური თანამშრომლებისა თუ ოპონენტების მისამართით სრულიად მიუღებელი და წარმოუდგენელია. მათ ავიწყდებათ, რომ 2016 წელია. ასეთი აშკარა, პირდაპირი ჩართულობა შესაბამისი სამსახურების მხრიდან მე არ მახსენდება ბოლო 20-22 წლის განმავლობაში.

მე მინდა გავაფრთხილო მკაცრად ყველა, ვინც ამას აკეთებს, რომ ეს თამაში შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს. მე მაქვს გამოცდილება, ასეთ დროს როგორ უნდა მოვიქცე და ისიც კარგად ვიცი, ამის წამომწყებები და ინიციატორები როგორ ასრულებენ, ამიტომ არავის ვურჩევ.

მისი თქმით, ამ შემთხვევაში ის



საუბრობს პირადად მის მოსმენაზე, თუმცა აცხადებს, რომ სხვებსაც უსმენენ.

– ბევრს უსმენენ, მაგრამ მე ჩემს თავზე შემიძლია ვისაუბრო და იმაზე, რომ ჩემს ახლობლებს, მეგობრებს აფრთხილებენ, რომ ჩემთან საუბარი და ურთიერთობა საფრთხილოა. ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ვიფიქრო, თუ რას აპირებენ დღეს შესაბამისი სამსახურები, არ ვიცი, კონკრეტულად რომელი, – განაცხადა არმაზ ახვლედიანმა.

**ინტერპრესნიუსი**

## ეკა ბესელია და ირინა იმერლიშვილი წაკამათდნენ




პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასა და უშიშროების საბჭოს მდივან ირინა იმერლიშვილს შორის შეკამათება მოხდა.

კომიტეტი მეორე მოსმენით, მუხლობრივად „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს განიხილავს.

კომიტეტის სხდომაში მონაწილეობს ირინა იმერლიშვილი, რომელმაც უკმაყოფილება გამოთქვა, თუ რატომ არ გაიგზავნა აღნიშნული პროექტი ვენეციის კომისიაში.

იმერლიშვილის შეფასებით, ძალიან დიდი პრობლემაა, როდესაც პარლამენტი ვენეციის კომისიაში არგაგზავნილი პროექტის მიღებას აპირებს.

– რიგით კანონზე არ ვლაპარაკობ და ეს საკონსტიტუციო სასამართლოს ეხება. ვინაიდან ევროსაბჭოს წევრები ვართ, ასეთი კანონი ვენეციის კომისიაში აუცილებლად უნდა გაიგზავნოს და პარლამენტმა მხოლოდ მათი დასკვნის შემდეგ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და არა პოსტფაქტუმ, რაც, სამწუხაროდ, „საარჩევნო კოდექსის“ შემთხვევაში მოხდა, – განაცხადა იმერლიშვილმა.

იმერლიშვილს გამოსვლა ბესელიამ შეაწყვეტინა და განმარტა, რომ ვენეციის კომისიაში პროექტის პირვანდელი ვერსიის გაგზავნას აზრი არ ჰქონდა. ბესელიას თქმით, პროექტი ახლა გადამუშავებულია.

– ვენეციის კომისიაში პროექტის გაგზავნას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან პირველი ვერსია რაც იყო, პრინციპების დონეზე შეცვლილია. ვენეციის კომისიამ იმ დოკუმენტზე უნდა იმუშაოს, რომელიც პრინციპების დონეზე მხარდაჭერილია, თორემ აღმოჩნდებოდა, რომ კიდევ სხვა დოკუმენტი უნდა გაგვეგზავნა, – განაცხადა ბესელიამ.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების საკითხს ეხება. თავდაპირველად, პროექტით განიხილებოდა ინიციატივა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლას საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ ითვალისწინებდა.

როგორც ბესელიამ განმარტა, მიღებულია კომპრომისული ვარიანტი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე თავად სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ. ცვლილებები ასევე ეხება მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილების ათწლიანი ვადა ეწურებათ.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით ნარმანია ოპოზიციაზე – თორემ რას მიზამენ?




– ჩემს იმპიჩმენტს რეალობასთან კავშირი არ აქვს, – განუცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გუშინ ჟურნალისტებს სასტუმრო „რუმსში“. მან კომენტარი გააკეთა თბილისის საკრებულოს უმცირესობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც დავით ნარმანიას მიერ თანამდებობის დატოვებას უკავშირდება.

– ასეთი მოწოდებები არც პირველი და არც უკანასკნელი არ იქნება. ამას უკვე მიჩვეული ვარ, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

ჟურნალისტის კითხვაზე, ოპოზიცია აცხადებს, რომ ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით ნარმანიამ ივანიშვილის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, რის გამოც უნდა გადადგეს, ნარმანიამ ასე უპასუხა: „თორემ რას მიზამენ?“ „რანაირ კითხვებს სვამთ, რა პასუხი უნდა გაგცეთ ამაზე“, – მიმართა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება კანონის ფარგლებშია და ამით ქალაქი არ იზარალებს, პირიქით, ქალაქში კიდევ ერთი რეკრეაციული ტერიტორია გაჩნდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ომარ ნიშნიანიძე: „ღმერთს ვთხოვ, მალაშხიამ სასამართლოში მიჩივლოს“

## „ნაციონალებმა დაშლის ბაცილა საკუთარ პარტიაში მოიკითხონ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ დაიმუქრა შოთა მალაშხია, ვის ეშინია სასამართლოს, რა დაავადება შეეყარა ნაცმოძრაობას, რას ნანობენ მმართველ გუნდში, რა მოხდება „ქართული ოცნების" ყრილობაზე? – ამის შესახებ „ახალ თაობას" „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი ომარ ნიშნიანიძე ესაუბრება.**

***– ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში აგვისტოს ომს თქვენ ავანტიურა უწოდეთ. ამის გამო შოთა მალაშხია დაგპირდათ, რომ ამ სიტყვებისთვის სამართლებრივად მოგთხოვთ პასუხს. თქვენი აზრით, სასამართლოში წავა თუ სხვა რაიმე მექანიზმს გამოიყენებს?***

– როგორც არ უნდა აყვირდნენ ნაციონალები, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ 2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა წამოიწყო ავანტიურა, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და დაიკარგა ტერიტორიები. ეს ურცხვი შოთა მალაშხია მეუბნება, უპატივცემულობას იჩენ ომში დაღუპულების მიმართო. უპატივცემულობა მაგათ გამოიჩინეს ამ ბიჭების მიმართ, როცა ძაღლების და ღორების საჯიჯგნად გაიმეტეს ჩვენი მებრძოლების ცხედრები. იმის მაგივრად, რომ ისინი გადმოესვენებინათ, წაგებულ ომს მოგებულად ასაღებდნენ და რუსთაველზე ზეიმი მოაწყვეს.

ნაციონალების და მათი მალაშხიას გასაგონად ვამბობ, რომ იმ ომში ბევრი ჩემი ახლობელი მონაწილეობდა. რამდენიმე დაიღუპა კიდევაც. მათი მიმართ უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ, მაგრამ ნაციონალებს კიდევ ერთხელ ვდებ ბრალს ავანტიურაში. მათი წყალობით საქართველოში რუსული სამხედრო ბაზები დაბრუნდნენ. მანამდე ნაციონალებმა 1990 წელს გაუქმებული სამხრეთ ოსეთის გაუქმებული ავტონომიური ოლქი აღადგინეს. კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, თუ რა უბედურება მოგვიტანა გალსტუკიჭამია სააკაშვილმა, მაგრამ ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ამ დანაშაულების ჩამოთვლა და გამოძიება რომ არ მოხდა, ამიტომაც ამოიღეს ხმა მალაშხიებმა. ისე გათავხედდა ეს დამნაშავეთა კასტა, რომ ჩემს გასამართლებას ითხოვს. მე არ ვიცი, რას იზამს შოთა მალაშხია, მაგრამ ღმერთს ვთხოვ, მართლა მიჩივლოს სასამართლოში.

***– ასე ძალიან რატომ გინდათ, რომ სასამართლოში წავიდეს?***

– იმიტომ, რომ ეს მაგათ სასამართლოდ გადაიქცევა და ხალხი გამოუტანს განაჩენს.

***– განაჩენს გააჩნია.***

– ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ეს განაჩენი მათთვის სასარგებლო არ იქნება. სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენ რეჟიმის გასამართლება ვერ შევძელით და აი, შედეგიც მივიღეთ.

***– ადრე ჩვენთან საუბარში დაიჩივლეთ, აქამდე ნაციონალები პარლამენტის სხდომათა დარბაზთან ჩვენთან ერთად წყლის დალევასაც ვერ ბედავდნენ და ახლა სიგარეტის მოკიდებას გვთხოვენო.***

– მართლა ასეა ეგ ამბავი. ახლოს ვერ გვეკარებოდნენ, ახლა სიგარეტის გადაკიდებას ითხოვენ. მე ახლოს ჯერ არავინ მეკარება. სიგარეტის გადაკიდება ვერ გამიბედეს და სასამართლოში მიპირებენ ჩივილს.

რაც დღეს „ქართულ ოცნებას“ სჭირს, ჩვენი ბრალია. ყველაზე ნაკლებად მაინც მე ვარ დამნაშავე, რადგან ამ საზიზღარი კოაბიტაციის წინააღმდეგ ხმალამოღებული ვიბრძოდი. სულ ვეუბნებოდი ჩვენებს, დამნაშავეებთან კუდი-კუდს გადადება დაგვღუპავს-თქო. იმის გამო, რომ მათთან ვიკოაბიტირეთ, საკუთარი ხელით გამოვიფატრეთ მუცელი. ხალხში სახელი გაგვიტყდა და ბოროტებასთან პირშეკრულები ჩვენს გასამართლებას ითხოვენ. ადრეც ასეთი უტიფრები იყვნენ, მაგრამ ბოლო დღეებში ეს ბნელეთის მოციქულები ნამეტანი გათამამდნენ.

***– ბოლო დღეებში გათამამდნენო და ეს თქვენი პარტიის შიგნით არსებულმა არეულობამ ხომ არ გამოიწვია?***

– ნებისმიერ პარტიაში შეიძლება მოხდეს უთანხმოება. ასეთი რამე განსაკუთრებით ხშირად ემართებათ ახალგაზრდა პარტიებს. „ქართული ოცნება“ სულ ახლახან შეიქმნა და გამოცდილება გვაკლია. იდეოლოგიური თვალსაზრისითაც რაღაც მინუსები გვქონდა. ამის მიუხედავად, არის ძირითადი ბირთვი, რომლის მიხედვითაც შეიძლება პარტიის განახლება და არჩევნებზე ღირსეულად მისვლა.

შესაძლოა ვიღაცები წავიდნენ ჩვენი რიგებიდან, მაგრამ ეს უკეთური ნაციონალების დამარცხებაში ხელს არ შეგვიშლის. ამას იმ ხალხის დახმარებით მოვახერხებთ, ვისაც ყოველგვარი ქართული ესალბუნება.

ან რა ამბავი ატეხეს არმაზ ახვლედიანის გამო ამ ნაციონალებმა? ეგ კაცი კარგა ხანია წასული იყო ჩვენიდან. ახლა გააკეთა ოფიციალური განცხადება. მაგაზე ადრე არ წავიდა ნაციონალებიდან ვაშაძე, ამაზე რატომ დუმან? ან გირჩები და ციყვები რომ დაშორდნენ, მაშინ რატომ გაინაბნენ? ეგ არაფერია და ახვლედიანის წასვლა ნიშნავს „ქართული ოცნების“ დაშლას? დაშლის ბაცილა საკუთარ პარტიაში მოიკითხონ.

***– ზემოთ თქვით, შესაძლოა, ჩვენგან სხვებიც წავიდნენო, არ დააზარალებს ეს „ქართულ ოცნებას“?***

– დაშლით ნამდვილად არ დავიშლებით და არც პარტიის ლანძღვას დაიწყებს ვინმე.

***– მათ შორის არც ისინი, ვინც საარჩევნო სიის მიღმა დარჩებიან?***

– არა მგონია. მოვხვდებით თუ არა სიაში, ყველანი დავრჩებით ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრეებად. ჩვენ ვიქნებით იმ გუნდის წევრები, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია და რომელსაც ამ ქვეყნის განვითარება სურს. საბედნიეროდ, ჩვენ დავადექით სწორ გზას.

***– თქვენ კი თვლით, რომ სწორ გზას ადგახართ, მაგრამ თქვენი ოპონენტები ხშირად გსაყვედურობენ არადასავლური ღირებულებების გამო.***

– ნაციონალებს ჰქონდათ დასავლური ღირებულებები და ჩვენ არა? ჩვენ დასავლურ ღირებულებებს და ეროვნულ ტრადიციებს ვცემთ პატივს. ჩვენ მზად ვართ დაველაპარაკოთ დასავლელსაც, აღმოსავლელსაც, სამხრეთელსაც და ჩრდილოელსაც. ჩრდილოელს განსაკუთრებულად უნდა დაველაპარაკოთ.

***– სწორედ მაგას ჩივიან თქვენი ოპონენტები, რომ ჩრდილოელებს განსაკუთრებულად ელაპარაკებით.***

– აბა როგორ დაველაპარაკოთ, ახალი ავანტიურა წამოვიწყოთ? ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთი არის ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენი ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. მტერთან დიალოგია საჭირო და არა მისი გაღიზიანება. მით უმეტეს მაშინ, როცა ამ მტერს იარაღით ვერ მოერევი.

ვიღაცას შესაძლოა არ მოსწონს, მაგრამ ჩვენ ფრთხილი საგარეო პოლიტიკა ავირჩიეთ. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ ხალხის ბედი გვაბარია. იმის გამო, რომ მალაშხიას ეამოს, სამხედრო ავანტიურას არ დავიწყებთ.



### „14 მაისს გაირკვევა, მოგვეხსნა თუ არა ჯადო“

***– 14 მაისს ტარდება „ქართული ოცნების“ ყრილობა. რამდენიმე თვის წინ თქვენ გვითხარით, რომ პარტიას ჯადო აქვს გაკეთებული და გამოლოცვა სჭირდება. მოასწარით ყრილობამდე გამოლოცვა?***

– მოგვეხსნა თუ არა ჯადო, ეს 14 მაისს გამოჩნდება. ყველა ელოდება, რომ იქ საინტერესო ამბები მოხდება. მგონია, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჩვენ ერის და ღვთის მოყვარული ხალხი ვართ, ამიტომ მჯერა, რომ ღმერთი ჩვენთან იქნება. პირველ რიგში უფალი ქართველ ხალხს არ გაწირავს და ნაციონალების საჯიჯგნად არ გაიმეტებს.

***– გარდა იმისა, რომ გვინდა გავიგოთ, მოგეხსნათ თუ არა ჯადო, ისიც გვაინტერესებს, მოხდება თუ არა 14 მაისს საარჩევნო სიის წარმოდგენა?***

– 14 მაისს სია არ იქნება წარმოდგენილი, მაგრამ ახალი სახეები ალბათ გამოჩნდებიან. იმედი მაქვს, რომ ძველი სახეებიც სათანადოდ იქნებიან წარმოდგენილი.

# კუდ-ის ყოფილი უფროსი სამართალდამცავ უწყებებს ზეწოლაში ადანაშაულებს




კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ლევან ქარდავა სამართალდამცავ უწყებებს ზეწოლაში ადანაშაულებს.

როგორც ლევან ქარდავამ გუშინ, 10 მაისს, გამართულ სასამართლო პროცესზე განაცხადა, ე.წ. უკანონო ფარული მოსმენების საქმეზე, რომელიც 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრების მოსმენას ეხებოდა, გამოძიებამ მისგან აღიარებითი ჩვენება ზეწოლის შედეგად მიიღო. ქარდავამ კონკრეტულად გაიხსენა ის ვითარება, რომელშიც მისი დაკავება და აღიარებითი ჩვენების მიცემა მოხდა.

კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ზეწოლაში შს მინისტრის ყოფილ მოადგილეებს გელა ხვედელიძეს და ალეკო ტაბატაძეს, ასევე იმჟამინდელი მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის ერთ-ერთ მოადგილეს დავით მჭედლიშვილს და ასევე პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს მიქაბერიძეს ადანაშაულებს.

– 2012 წლის 14 ნოემბერს დამიკავშირდა გელა ხვედელიძე, რომელსაც მე ჩემი უწყების საქმეები გადავაბარე და დამიბარა შს სამინისტროში, მითხრა, რომ რაღაცები იყო გასარკვევი. როდესაც შსს-ში მივედი, შემიყვანა კაბინეტში, სადაც დამხვდა 40 კაცი, ასევე იქ იმყოფებოდა შს მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე ალეკო ტაბატაძე. მე ვკითხე, თუ რაში იყო საქმე და დაკავებული ვიყავი თუ არა.

მითხრეს, რომ გენერალურ ინსპექციაში უნდა წავსულიყავით, რადგან იქ იყო გასარკვევი რაღაცები. როდესაც გენერალურ ინსპექციაში მივედით, რამდენიმე საათი მალოდინეს, არ მეუბნებოდნენ, რაში იყო საქმე, ბოლოს კი ერთ-ერთ კაბინეტში შემოვიდა გელა ხვედელიძე, მითხრა, რომ დაკავებული ვარ და თქვა: „ხომ იცი, ვინც გვჭირდება და მოგვეცი მათზე ჩვენებები“. ამის შემდეგ მე ვუთხარი, რომ თუ რამე კონკრეტული საქმე ჰქონდათ აღძრული, დავეკითხე.

საღამო ხანს უკვე გადამიყვანეს მთავარ პროკურატურაში, სადაც რამდენიმე გამომძიებელმა დამკითხა და მივეცი იდენტური ჩვენებები. ბოლოს დაკითხვის ოთახში შემოვიდნენ მაშინდელი მთავარი პროკურორის მოადგილე დავით მჭედლიშვილი და საგამოძიებო ნაწილის უფროსი მიქაბერიძე.

შემოიტანეს თაბახზე ჩამოწერილი სია და მჭედლიშვილმა მითხრა მიმეცა მათ წინააღმდეგ ჩვენებები. ჩემზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მიეღოთ ჩვენებები, ბოლოს ვერ გავუძელი, ვუთხარი, რომ შეედგინათ მათთვის სასურველი ჩვენება და ხელს მოვუწერდი. საბოლოოდ ასეც მოხდა, – განაცხადა ლევან ქარდავამ.

პროკურორ ლევან ადეიშვილის კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა ზეწოლაზე აქამდე, ბრალდებულმა განაცხადა, რომ მისი გადასაწყვეტი იყო როდის ისაუბრებდა აღნიშნულ ზეწოლაზე და მისი სტრატეგია იყო, რომ ამ ფაქტზე სასამართლოში დაკითხვისას ესაუბრა. როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ პროკურორმა განაცხადა, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის გუშინდელ განცხადებაზე პროკურატურაში შესაბამისი რეაგირება მოხდება და მოკვლევა დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

# „სირიაში პუტინმა საქართველოსთან ომისდროინდელი სტრატეგია გაიმეორა“

ებრაულ გამოცემა „ჰაარეცში“ გამოქვეყნებულ სტატიაში გაანალიზებულია რუსეთის სამხედრო კონტინგენტის მოქმედება სირიაში – რა წააგო და რა მოიგო რუსეთმა, რამდენად განმტკიცდა პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლება, როგორი იყო სირიის არმიის მდგომარეობა რუსეთის სამხედრო დახმარებამდე და როგორია დღეს, თანამედროვე პირობებში (ავტორი – ანშილ პელერი).

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის რეზიუმეს:

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ნახევარი წლის წინ, 2015 წლის ოქტომბრამდე, სირიის ხელისუფლება კრახის წინაშე იდგა, არმია დასუსტებული და ძალაგამოცლილი იყო, „დაიშ-იგილ“-ი („ისლამური სახელმწიფო“) დამასკოს ხელში ჩაგდებას ცდილობდა, მათ ვერც ირანი და ვერც ჰეზბოლა“ ვერ აჩერებდა, დღეს კი ბაშარ ასადი საკმაოდ მყარად დგას ფეხზე და სირიის არმია გარკვეულ წარმატებებს აღწევს. მოკლედ, მოსკოვის დახმარებით დამასკომ ქვეყნის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და ყველაზე ნაყოფიერი ნაწილი შეინარჩუნა და უფრო მეტიც, სირიის ცენტრალური რეგიონი – პალმირას პროვინცია დაიბრუნა. შესაბამისად, განმტკიცდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი, უკვე რუსეთზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება სირიის მომავალი ხელისუფლება და საერთოდ, შეწყდება თუ არა საბოლოოდ ევროკავშირისაკენ სირიელი მიგრანტების ნაკადი. ვლადიმირ პუტინი, აშკარაა, მიმდინარე წლის ბოლომდე შეეცდება, თავისი გავლენა გამოიყენოს სანქციების მთლიანად ან ნაწილობრივ მოსახსნელად.

დღეს უკვე ნათელია, რომ რუსეთის ლიდერმა სირიაში იგივე გააკეთა, რაც უკრაინაში და უფრო ადრე – საქართველოში (ამ ორ ქვეყანაში მოსკოვმა ხელი შეუწყო სეპარატისტული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების – დონბასის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების შექმნას). ამგვარად, ვლადიმირ პუტინმა სამივე ქვეყანაში გაჭიანურებული კონფლიქტების კერა შექმნა და ამით რუსეთის გავლენის გაფართოება უზრუნველყო. გარდა ამისა, იგი შეეცადა რეგიონში აშშ-ისა და ევროკავშირის შეზღუდვასაც. საინტერესოა, რომ რუსეთის პრეზიდენტი სირიასაცდა უკრაინასაც კონფლიქტიდან ერთისა და იმავე გამოსავალს სთავაზობს – ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას.

ერთი შეხედვით, ისე ჩანს, რომ მოსკოვი სირიის პრობლემის მოგვარების პროცესში ირანთან თანამშრომლობს, მაგრამ ვლადიმირ პუტინი აშკარად არ არის დაინტერესებული ირანის გავლენის გაფართოებით.

მართალია, ირანი კვლავ რჩება რუსული იარაღის მნიშვნელოვან კლიენტად და ვლადიმირ პუტინის გეგმების მხარდამჭერად (აშშ-ისა და საერთოდ დასავლეთის დასუსტების საკითხში), მაგრამ ჯერჯერობით რუსეთისა და ირანის ისტორიული უნდობლობა არ გამქრალა. ვლადიმირ პუტინს სურს, რომ დამასკოში ბოლო სიტყვის თქმის უფლება მხოლოდ მას ჰქონდეს და არა ირანის ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეის. სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტი ასევე დაინტერესებულია სირიაში ისრაელის ინტერესების დაცვითაც, თვით ირანელი მოკავშირის ხარჯზეც კი. ვლადიმირ პუტინისათვის ისრაელთან დაახლოება სტრატეგიულ მიღწევად ითვლება – ამით მან ის სიცარიელე შეავსო, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან აშშ-ის ნაწილობრივი წასვლით შეიქმნა.

**ნიუსპრესი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თბილისის ცენტრში სამშენებლო შეზღუდვები წესდება

## დეველოპერები გაურკვევლობაში არიან



თბილისის ცენტრალურ უბნებში კოეფიციენტის გაზრდა, რომელიც შენობის სიმაღლესა და სართულების რაოდენობას განსაზღვრავს, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებამდე იზღუდება.

სხვა უბნებს დროებითი შეზღუდვა არ შეეხება, რათა გარეუბნებს განვითარების საშუალება მიეცეთ.

აღნიშნული შეზღუდვის ამოქმედების შესახებ საკრებულო გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში მიიღებს.

გამომდინარე იქიდან, რომ გენგეგმის შემუშავების ვადები ამ დრომდე გაურკვეველია, დროებითმა შეზღუდვამ შესაძლოა არაერთ დეველოპერს განუსაზღვრელი ვადით პრობლემები შეუქმნას.

თბილისის ქაოტური განაშენიანება დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა, თუმცა აღნიშნულმა შეზღუდვამ შესაძლოა პრობლემები შეუქმნას კეთილსინდისიერ დეველოპერს, რომელსაც კანონიერი გზით, ქალაქისთვის ყოველგვარი ზიანის მიყენების გარეშე სურს მშენებლობა.

სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები აღნიშნული შეზღუდვების შედეგად მშენებლობის შეფერხებას არ გამორიცხავენ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად რეგულაციებს ეთანხმებიან. ახალმა შეზღუდვებმა მათ შორის გაურკვევლობაც კი გამოიწვია.

* * *

კომპანია „ჯი დი ჯის“ დამფუძნებელი ბეჟან წაქაძე ამბობს, რომ იქმნება სამსახური, რომელიც ყველა პროექტს ინდივიდუალურად განიხილავს და თუ ის მოქმედ სტანდარტებში ჩაჯდება, კოეფიციენტის გაზრდაზე ნებართვას გასცემენ. წაქაძე ამბობს, რომ თუ მსგავსი პროცესები მართლაც დაიწყო და გამონაკლისები დაუშვეს, მაშინ ამ რეგულაციის დაწესებას აზრი არ აქვს.

მისივე შეფასებით, თბილისის მერიის შეზღუდვა მშენებლობის პროცესს ხელს შეუშლის, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ სამშენებლო ბაზარს დაალაგებს, რაც, წაქაძის თქმით, აუცილებელია.

ის ამბობს, რომ ბოლო წლების განმავლობაში სამშენებლო ბაზარზე გაურკვეველი ხალხი და კომპანიები შემოვიდა, ანუ ისინი, ვისაც მშენებლობაში ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ. დედაქალაქის მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვები კი ასეთ კომპანიებს გაცხრილავს და ბაზარი ბუნებრივად დარეგულირდება.

— ეს სწორი გადაწყვეტილებაა. დეველოპერი რაც უფრო მაღალ შენობას ააშენებს, მით უფრო მომგებიანია მისთვის. ბოლო პერიოდში ქალაქში ბინების ფასები შემცირდა. ეს რეგულაციები კი ბინებზე ფასებსაც გააძვირებს. რაღაც მომენტში დავზარალდებით, მაგრამ ეს დროებითი იქნება, შემდეგ კი ეს ზარალი 2-3-ჯერ ანაზღაურდება. ბაზარზე ნორმალური მოთამაშეები დარჩებიან. ჯანსაღი კონკურენცია იქნება, — აცხადებს წაქაძე.

* * *

თბილისის მერიის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს მეტ-ნაკლებად სწორად თვლის დეველოპერული კომპანია „არქი ჯგუფის“ დამფუძნებელი ილია წულაია.

მისი განმარტებით, უფრო სწორი იქნებოდა, რომ დარჩენილიყო არსებული მოდელი. ანუ, როდესაც მერიის შემადგენლობაში არსებული საბჭო ინდივიდუალურად განიხილავდა კოეფიციენტის გაზრდის საკითხს და ნებართვებსაც ინდივიდუალურად გასცემდა.

წულაია ამბობს, რომ კოეფიციენტის გაზრდის შეზღუდვა უფრო მოსახლეობას დააზარალებს, ვიდრე დეველოპერულ კომპანიებს. კერძოდ, ცენტრალურ და ძველი თბილისის უბნებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ინვესტორის მისვლა და ფართების შეთავაზება საინტერესო აღარ იქნება, რადგან შეზღუდული იქნება განაშენიანების მოცულობა.

* * *

დეველოპერული კომპანია „რედკოს“ პროექტების მენეჯერ მალხაზ კუნელაურისთვის გაურკვეველია, რატომ გადაწყვიტა დედაქალაქის მთავრობამ ასეთი ტიპის რეგულაციების დაწესება.

მისი თქმით, რეგულაციები არ არის ამ შემთხვევაში საკმარისი ფორმა გარკვეული მიზნის მისაღწევად. მისივე განცხადებით, ეს რეგულაციები ახლაც არსებობს და აქამდეც არსებობდა. ანუ, საბჭოს, რომელიც კოეფიციენტს ზრდიდა, ისედაც შეეძლო, რომ არ გაეზარდა აღნიშნული კოეფიციენტი.

— ეს იყო სამსჯელო საკითხი, რომელიც ინდივიდუალურად განიხილებოდა. ამიტომ, საკუთარი თავისთვის იმის აკრძალვა, რაც ისედაც შეეძლოთ, რომ არ გაეკეთებინათ, არ ვიცი, რამდენად სწორია. ვნახოთ, რა განსხვავებულ შედეგს მოიტანს, — აცხადებს კუნელაური.

მისივე შეფასებით, საბოლოო ჯამში, ქალაქის განტვირთვისა და დარეგულირების მომხრე ყველაა, მათ შორის ბიზნესიც. უბრალოდ, ეს არ უნდა იყოს ისეთი ტიპის ბიუროკრატიული წინაღობების შემქმნელი, რომ მან ხელი შეუშალოს ბიზნესის განვითარებას.

კუნელაური აცხადებს, რომ ეს არ უნდა მოხდეს ბიზნესის შეზღუდვის ხარჯზე.

— ქალაქში უნდა იყოს სამშენებლო რეგულაციები, თუმცა, ისეთი, რომ მშენებლობებით არავინ შეწუხდეს და ასევე, არ იყოს ბიზნესისთვის დამაზიანებელი. სამომავლოდ, ეს რა შედეგს გამოიღებს, არ ვიცი. იმედს ვიტოვებ, რომ ეს რეგულაციები ბიზნესზე ნეგატიურად არ აისახება, — აცხადებს კუნელაური.

**სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე**

# ვინ არის 6 ქართველი ბიზნესმენი ქალი, რომელთა გვარებიც „პანამის დოკუმენტებში“ მოხვდა




„პანამის დოკუმენტებში“ 85 ქართველია მოხსენიებული, რომელთა შორისაც რამდენიმე ქალია.

ბიპიენი შეეცადა გაერკვია, ვინ არიან ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებთან დაკავშირებული ქართველი ქალები.

ერთ-ერთი, ვისი გვარ-სახელიც ამ ნუსხაში გხვდება, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილი ნათია ჩხარტიშვილია.

საქართველოში არსებული კომპანიებიდან მის სახელს უკავშირდება შპს „ენ ეს გალერი“, შპს „სმარტ გრუპი“, „პრინცი“, საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი, „მზერა ტვ“ და სხვა.

ნათია ჩხარტიშვილის ბიზნესსაქმიანობა, ალბათ — ნაკლებად, მაგრამ საზოგადოებას დღემდე ახსოვს მის სახელთან დაკავშირებული რამდენიმე სკანდალი.

რამდენიმე წლის წინ მოულოდნელად გავრცელდა ცნობა, რომ ნათია ჩხარტიშვილი ბორისპოლის აეროპორტში უკრაინის უსაფრთხოების სამსახურისა და ტარიელ ვასაძის დაცვამ გაიტაცა. გავრცელებული ინფორმაციით, ის მაშინ გაიტაცეს, როდესაც თავის საქმროსთან, შიდა ქართლის პოლიციის მაშინდელ ხელმძღვანელ დავით ტაბუცაძესთან ერთად აპირებდა თბილისში დაბრუნებას. მოგვიანებით გაჩნდა მოსაზრება, რომ გატაცების ორგანიზატორი ვანო ჩხარტიშვილი იყო, ის სწორედ ამ ფორმით შეეწინააღმდეგა თავისი ქალიშვილისა და დავით ტაბუცაძის დაქორწინებას.

ოფშორული კომპანიების ჩამონათვალში აღმოჩნდნენ ლიანა კობიაშვილი და შორენა გველესიანი.

ორივე OOCO LTD., FOL TRADING CORP-ის წილის მფლობელია. ამავე კომპანიაში წილს ფლობს ვინმე კობა კეჟერაშვილიც, რომლის სახელსაც საქართველოში რამდენიმე კომპანია უკავშირდება, მათ შორის შპს „ამაათი“, შპს „პეტროსილექსი“ და „ორიენტალ ოილ კოს“ წარმომადგენლობა საქართველოში.

ერთ ძალიან საინტერესო დამთხვევას მივაგენით. ლიანა კობიაშვილი და კობა კეჟერაშვილი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რეფორმებისა და ინოვაციების საქართველოს უფროს გიორგი კეჟერაშვილის მშობლები არიან, როგორც ეს კეჟერაშვილის 2015 წლის ივლისში შევსებული ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა.

კიდევ ერთი ქალი ქართული გვარით, რომელიც „პანამის დოკუმენტებში“ მოხვდა, ქეთევან ნაცვლიშვილია. შესაბამისი ინფორმაციის მოძიების შედეგად ირკვევა, რომ მისი სახელი საქართველოში უკავშირდება ისეთ კომპანიებს, როგორებიცაა შპს „ვინ ბეთი“, „საქართველოს ლატარიის კომპანია“, FIRST IT, შპს „ჯინო“ და შპს „აუთლეტიკა“ .

„პანამის დოკუმენტებშია“ მოხსენიებულია მარიამ ჯაფარიძე, რომლის გვარ-სახელი სხვადასხვა დროს შპს „იბერია TV“-ის დირექტორის თანამდებობაზე გვხვდება.

ქართველი ქალების „ოფშორულ“ ჩამონათვალში ასევე მოხსენიებულია ნინო კიკვაძე, როგორცPONTOS ENERGY LIMITED-ის დირექტორი, თუმცა მის შესახებ სხვა ინფორმაცია, ფაქტობრივად, არ მოიძებნა.

**ბიპიენი**

# გიორხელიძე: „საქართველოს ეკონომიკას კატასტროფულად აკლია ფული“

## „დოლარის მიმოქცევა საქართველოში უნდა აიკრძალოს“



გუშინ, 10 მაისს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 20 მილიონი აშშ დოლარი შეიძინა.

— ვფიქრობ, ეროვნულმა ბანკმა კარგად იცის, რომ ასეთი უაზრო ტემპით ვალუტის გამყარება ქართულ ეკონომიკას კარგს არაფერს უქადის, — აღნიშნავს დემურ გიორხელიძე ბიპიენთან საუბრისას.

მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკას ფული კატასტროფულად აკლია, ეროვნული ვალუტა კი არასტაბილურია, რაც ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას გამორიცხავს.

— საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა შეძლონ სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, სადაც ზუსტად იქნება პარამეტრები გაწერილი მთავრობისა და ეროვნული ბანკისთვის.

საქართველოს ეკონომიკას კატასტროფულად აკლია ფული. საქართველოს ეროვნული ვალუტა უაზროდ დარბის აღმა-დაღმა და იმის ნაცვლად, რომ სტაბილურობისკენ წავიდეს და წონასწორული კურსის ირგვლივ მცირე რყევები გააჩნდეს, ჩვენ ვხედავთ ხან უაზრო გამყარებას და ხან უაზრო დაცემას, რაც საერთოდ ქართული ბიზნესისა და ქართული ეკონომიკის პერსპექტივას, ფაქტობრივად, ანულებს, — ამბობს ექსპერტი.

მისი აზრით, ასეთ რეჟიმში ეკონომიკა არ შეიძლება მუშაობდეს, არ შეიძლება რამე გრძელვადიანი გათვლა გაკეთდეს,

— ამიტომ ეს ძალიან ცუდია და, რა თქმა უნდა, როგორმე უნდა მოხდეს დოლარიზაციის ხარისხის შემცირება, — ამბობს დემურ გიორხელიძე.

მისი თქმით, საჭიროა არა მხოლოდ დოლარიზაციის შემცირება, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე დოლარის მიმოქცევის საერთოდ აკრძალვა.

— დოლარი საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მიმოქცევის საშუალება, უნდა აიკრძალოს. ყველაფერი ღირებული ქვეყანაში დოლარზე იყიდება, რაც ლარს ფუნქციას უკარგავს, — აღნიშნავს დემურ გიორხელიძე.

**თამარ კორკოტაშვილი, ბიპიენი**

# საარჩევნო პერიოდში თამარ ჟვანიას ანაზღაურება თვეში ხშირად 20.000 ლარს აჭარბებს



საარჩევნო პერიოდში ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიას მიღებული ანაზღაურება თვეში ხშირად 20.000 ლარს აჭარბებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა“ 2011-2015 წლებში ცესკოს წევრთა და თანამშრომელთა ანაზღაურების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.

ორგანიზაციის მიერ ცესკოდან გამოთხოვილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2013 წლის საარჩევნო პერიოდში, სექტემბრის თვეში, ცესკოს თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას თანამდებობრივი სარგოს სახით აღებული აქვს 6.720 ლარი, დანამატი კი – 10.080 ლარი.

ოქტომბერში თანამდებობრივმა სარგომ 10.080 ლარი, დანამატმაც იგივე ოდენობა – 10.080 ლარი შეადგინა, ნოემბერში თანამდებობრივმა სარგომ 7.056 ლარი, დანამატმა კი 15.120 ლარი შეადგინა.

2014 წლის საარჩევნო პერიოდში, აპრილის თვეში, თამარ ჟვანიას აღებული აქვს თანამდებობრივი სარგოც, პრემიაც და დანამატიც – 7.896, 5.040 და 5.305 ლარი.

მაისში თანამდებობრივმა სარგომ 10.080 ლარი შეადგინა, ამავე მოცულობის იყო დანამატიც,

სარგოსა და დანამატის იგივე მაჩვენებელია ივნისის თვეშიც. ხოლო ივლისში თანამდებობრივმა სარგომ 8.617 ლარი, დანამატმა კი 15.120 ლარი შეადგინა.

* * *

ცესკოს ყოფილ თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილს 2012 წლის საარჩევნო პერიოდში, აგვისტოს თვეში თანამდებობრივი სარგოს სახით აღებული აქვს 9.600 ლარი, ხოლო პრემია – 6.240 ლარი.

სექტემბერში თანამდებობრივი სარგო 9.600 ლარი, პრემია – 1.200 ლარი, ხოლო დანამატი 9.600 ლარი იყო. ოქტომბრის თვეში თანამდებობრივმა სარგომ 9.600 ლარი, დანამატმა კი 13.200 ლარი შეადგინა.

2013 წლის საარჩევნო პერიოდში ზურაბ ხარატიშვილმა ივლისში 9.917 ლარის თანამდებობრივი სარგო, 2.016 ლარის პრემია და 5.040 ლარი დანამატი აიღო. აგვისტოში კი თანამდებობრივი სარგო 6.178 ლარით, პრემია 5.040 ლარით, დანამატი კი 1.788 ლარით განისაზღვრა.

— საარჩევნო პერიოდში თანამდებობრივი სარგო ისედაც გაორმაგებულია. ჩვენ ვხედავთ პრაქტიკას წლების განმავლობაში, როგორც წესი, კიდევ თითქმის ერთი ამდენი მოცულობით ხდება დანამატების გამოწერა. რეალურად, გაორმაგებული კი არა, გაოთხმაგებული გამოდის საარჩევნო პერიოდში ანაზღაურება.

დანარჩენ პერიოდსაც თუ შევხედავთ, სულ რამდენიმე თვეა, როდესაც არც პრემია და არც დანამატი არ გაცემულა. ძირითადად ხდება ერთმანეთთან ჩანაცვლება, ან ორივეს გაცემა. არასაარჩევნო პერიოდშიც კი, გაცემული პრემიებისა და დანამატების ჯამი 50%-დან 200%-მდე მერყეობს, რიგ შემთხვევაში, 250%-საც კი აჭარბებს, – აღნიშნა „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელმა მიხეილ ბენიძემ ინტერპრესნიუსთან საუბრისას.

# მამუკა გიორგაძე: „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირად შეუწყო ხელი ნაცმოძრაობის გაძლიერებას“

## „ჯანსაღი პოლიტიკური გარემოს შემთხვევაში არ მოხდებოდა დასავლური ღირებულებების დევალვაცია“

მარიამ მჭედლიშვილი

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე იზიარებს „ქართული ოცნებიდან“ გამოსული არმაზ ახვლედიანის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მმართველი პარტია არ უწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას. ამასთან, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში იგი განმარტავს, რომ ამის სათქმელად მას სხვა მოტივაცია აქვს.

**მამუკა გიორგაძე:**

– ეს შეფასება სწორია, მაგრამ არმაზ ახვლედიანს, შესაძლოა, ამ შეფასების გაკეთების საფუძველს აძლევდეს ამა თუ იმ პირთა ჯგუფის მდგომარეობა პარტიაში. სხვებს ამის სათქმელად სხვა მოტივაცია გვაქვს. ქვეყანა ნორმალურად ვერც ახლა ვითარდება და ვერ წინა და იმის წინა ხელისუფლებების დროს. ჩვენ ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი ბელადების სისტემას. ეს აფერხებს განვითარებას.

აქამდე ვერ შეიქმნა ის მექანიზმი, რომელიც, ერთი მხრივ, შექმნიდა ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს და ინფრასტრუქტურას, და მეორე მხრივ, მოსახლეობას მისცემდა თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ეს ყველაფერი გააუმჯობესებდა ხალხის მდგომარეობას.

***– ანუ, გადაწყვეტილებების მიმღები ქვეყანაში თითო-ოროლა ადამიანია?***

– დიახ, ყველაფერს ბელადები წყვეტენ და აქ მნიშვნელობა არ აქვს, ვინაა პარლამენტის თავმჯდომარე, დედაქალაქის მერი, მინისტრი, ვინ არიან პარლამენტში წარმოდგენილი. ინსტიტუტები არ მუშაობს. ვინც შეიყვანეს „ქართულ ოცნებაში“, ან ვინც თანამდებობებზე დაამტკიცეს, ყველა ივანიშვილის მომყოლია. ამ ადამიანებს ეს ადგილები არ დაუკავებიათ თავისი ნიჭის, ცოდნის, გამოცდილების თუ შრომის შედეგად.

ხელისუფლებისთვის მთავარია ძალაუფლების შენარჩუნება და კეთილდღეობა, ქვეყანაში კი კარგი ნიადაგია არასტაბილურობისა და ქაოსისათვის. ასეთ წრეზე უკვე წლებია, ვტრიალებთ და ამის შედეგებიც ჩანს.

***– გამოდის, რომ დღევანდელ პოლიტიკაში მთავარ სიტყვას ორი ბელადი – ივანიშვილი და სააკაშვილი ამბობენ?***

– სამწუხაროდ, ასე გამოდის. ჯერ კიდევ ვსაუბრობთ სააკაშვილის როლზეც. „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა, რომ სააკაშვილი ისევ ბელადი იყოს, ნაციონალური მოძრაობა კი – ხელისუფლების მთავარი ოპონენტი.

***– როგორ ხდება ნაციონალური მოძრაობის გაძლიერება?***

– ამაზე ბევრის თქმა შეიძლება. ავიღოთ საგარეო მიმართულება. აქ მთავარი როლი მიაკუთვნეს ნაციონალურ მოძრაობას. „ქართულმა ოცნებამ“ ეს პარტია აქცია მთავარ პროდასავლურ ძალად. საგარეო საკითხებზე საუბარი, ფაქტობრივად, მისი უფლებაა.

***– ნაციონალები ევროპის სტრუქტურებშიც აქტიურობენ.***

– საქმეც ეგაა! ისინი ამ აქტიურობით ქვეყანას აზიანებენ. ამ დროს, ჩვენს პარტიას არ აძლევენ საშუალებას, იაქტიუროს და იურთიერთოს იმავე ევროპის სახალხო პარტიასთან, რომელთანაც ძველი კავშირები გვაქვს. ხალხმა არც კი იცის, რომ ევროპის სახალხო პარტიაში შემავალი ევროპული ძალები ეწინააღმდეგებიან ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს. ამ დროს მისი აქაური პარტნიორი ნაცმოძრაობის სახით ასეთი ქორწინებების მომხრეა.

ნაციონალურ მოძრაობას სასათბურე პირობები აქვს სატელევიზიო მედიაში. ხელისუფლება, თითქოს აკრიტიკებს და ებრძვის ნაცმოძრაობის ტელევიზია რუსთავი 2-ს, მაგრამ საბოლოოდ, ესეც ნაცმოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს. საერთაშორისო თანამეგობრობას რჩება შთაბეჭდილება, რომ ზღუდავენ თავისუფალ მედიას. ამ დროს დაზარალებული რჩება არა



ნაციონალური მოძრაობა, ვიზღუდებით სხვა პარტიები, ვინაიდან ხელისუფლება არ ქმნის თავისუფალ მედიასივრცეს ყველასთვის. აგრესიული პიარიც მიმართულია ნაცმოძრაობის გაძლიერებისკენ.

***– კერძოდ?***

– საფრანგეთის სასამართლოს ვერ გადასცეს საკმარისი მასალები კეზერაშვილის წინააღმდეგ, საბერძნეთისას – ახალაიას წინააღმდეგ. ამიტომ, ისინი გათავისუფლდნენ.

ამ დროს ერთი ყურადსაღები ფაქტი მოხდა ისრაელში. იქ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ერთი პირის წინააღმდეგ, რომელსაც პოლიციაში პასუხსაგები პოსტი უნდა დაეკავებინა. მას ბრალად ედება, რომ წლების წინ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად კეზერაშვილს ქრთამი მისცა.

მერაბიშვილისა და უგულავას წინააღმდეგაც მსუბუქი მუხლებია წაყენებული. ამიტომ, უცხოეთში რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ისინი პოლიტიკური დევნილები არიან.

ამ ხალხს სატელევიზიო ეთერიც არ აკლია. ისე, თუ ეთერს დამითმობენ, მეც არ ვიტყვი უარს გარკვეული ხნით ციხეში ჩაჯდომაზე. ეს მოვლენები უარყოფითად მოქმედებს ხალხის განწყობებზე. ადამიანებს უკვე ეჭვი შეაქვთ დასავლურ ფასეულობებში, რომლებიც, სინამდვილეში, ჩვენი, ქართული ფასეულობებია და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობიდან მომდინარეობს.

***– დასავლური ღირებულებები რა შუაშია?***

– ადამიანები ხედავენ, რომ პროდასავლურად ითვლებიან ისეთი მიუღებელი ძალები, როგორიც არიან ნაცმოძრაობა, რესპუბლიკური პარტია; ზოგიერთი დასავლური ინსტიტუტი მხარდაჭერას უცხადებს ნაცმოძრაობას; არ ისჯებიან დამნაშავეები; საქმიანობას აგრძელებენ სისტემური დანაშაულის მონაწილეები. ამის შემხედვარე საზოგადოებას გული უტყდება დასავლეთზე.

ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ზოგიერთისთვის დასავლეთი ასოცირდება ტირანიასთან, რომელიც სააკაშვილმა დაამყარა, ასევე ციხეებში გაუპატიურებებთან და სხვა უმსგავსობებთან. „ქართულმა ოცნებამ“ ხელი შეუწყო ამ განწყობების გაღვივებას. ხდება დასავლური, ანუ ძველი ქართული ღირებულებების დევალვაცია. ჯანსაღი პოლიტიკური გარემო რომ იყოს, ეს არ მოხდებოდა.

***– ნაცმოძრაობაში მიმდინარე მოვლენები აისახება მის რეიტინგზე?***

– ეს მოვლენები ამცირებს ამ პარტიის რეიტინგს. ამაში ხელისუფლების წვლილი არ არის. „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით ნაცმოძრაობამ ბევრი რამის გაფუჭება უკვე მოახერხა, ნაციონალებმა ბევრს გადაუბრუნეს ტვინი. საუბედუროდ, 2016 წელს ჩვენ ისევ გვიხდება ლაპარაკი ნაცმოძრაობის რეიტინგზე. არადა, 2012 წლის შემოდგომიდან ეს პარტია აქტიურ პოლიტიკაში აღარ უნდა ყოფილიყო.

# ნატა ფერაძე 250 ლარით დაჯარიმდა




„პარტიზანი მებაღეობის“ ერთ-ერთ ლიდერ ნატა ფერაძეს სასამართლომ 250- ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა. პროექტ „პანორამა თბილისის“ საწინააღმდეგო აქციაზე ნატა ფერაძის ადმინისტრაციული წესით დაკავებასთან დაკავშირებით სასამართლომ გუშინ იმსჯელა.

ნატა ფერაძე სამართალდამცველებმა პოლიციის დაუმორჩილებლობისთვის დააკავეს. თუმცა, როგორც პროცესის დასრულების შემდეგ ნატა ფერაძემ აღნიშნა, პატრულის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით – ვიდეოჩანაწერითაც კი დგინდება, რომ მისი დაკავება იყო უკანონო. მისივე თქმით, ის პოლიციამ არ გააფრთხილა იმის თაობაზე, რომ მანქანიდან უნდა ჩამოსულიყო.

„პარტიზანი მებაღეობის“ ერთ-ერთი ლიდერი მოსამართლის მიერ დაკისრებული ჯარიმის გასაჩივრებას გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ბრალდებით 1940 წელს დაბადებული ნუგზარ მ. თბილისში, დიდუბის რაიონში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ნუგზარ მ-ს პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 8 ვაზნით, ხოლო მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას – „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის არარეგისტრირებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 2 მჭიდითა და 60 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ასევე ამოღებულია 740 საბრძოლო ვაზნა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებისა და გასაღების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1971 წელს დაბადებული ვალერიან ა. თბილისში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 62 აბი და 16 ნატეხი ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“, 7 კაფსულა მეტადონის მარილი და კანაფის ფისის შემცველი 1,1882 გრამი ნარკოტიკი ამოიღეს.

როგორც უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ნარკოლოგიური შემოწმებით, ვალერიან ა.-ს ბუპრენორფინის და ტეტრაჰიდროკანაბინოლის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის“ დირექტორს

## შპს „ნარიყალას“ დირექტორის ნოდარ ტოტოღაშვილის

**მის: ქ. თბილისი, ვ. გორგასალის ქუჩა № 3; 597 58 07 00**

## განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ნარიყალა“-სა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერს“ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს დავა შპს „ნარიყალა“-ს მიერ შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერის“ სარგებლობაში არსებულ საკანალიზაციო ქსელში გოგირდის გეოთერმული წყლის ჩაღვრის გადასახადის ოდენობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ არსებული მრავალწლიანი თანამშრომლობის პერიოდის განმავლობაში შპს „ნარიყალა“-სა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერ“-ს შორის არ ყოფილა არანაირი დავა და შეთანხმებული ტარიფის გადახდა შპს „ნარიყალა“-ს მიერ ხორციელდებოდა შეფერხების და დაყოვნების გარეშე. სამწუხაროდ, 2015 წლის აპრილის თვიდან შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერმა“ ცალმხრივად შეცვალა შპს „ნარიყალასათვის“ ორმხრივად შეთანხმებული ტარიფი ისე, რომ შპს „ნარიყალამ“ აღნიშნულის შესახებ შეიტყო მხოლოდ და მხოლოდ წყლის ქვითრის მიღების შემდეგ.

მინდა გადავდოთ ყოველგვარი წყენა, დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, გავითვალისწინოთ მოსამართლის რეკომენდაცია მოლაპარაკების შესაძლებლობის არსებობის შესახებ. ყოველივე ზემოხსენებულიდან



გამომდინარე, გთავაზობთ მორიგების შემდეგ პირობას – შპს „ნარიყალა“ გამოთქვამს მზადყოფნას შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ პაუერს“ საკანალიზაციო ქსელში წყლის ჩაღვრის გადასახადის სახით, ჩაღვრილ წყალზე გადაუხადოს --1500,00 ლარი თვეში, რომელიც წარმოადგენს მომსახურების ღირებულების გონივრულ ოდენობას და შპს „ნარიყალა“-ს აღნიშნული ტარიფის გადახდის შედეგად არ მოუწევს საწარმოს დახურვა.

გთხოვთ, მითითებული ტარიფი დაერიცხოს 2015 წლის 01 აპრილის შემდგომ პერიოდზე გაწეულ მომსახურებას.

**შპს „ნარიყალას“ დირექტორი ნოდარ ტოტოღაშვილი**
**10/05/2016 წელი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
**ქალბატონი ქეთათო**

# ბრაზილია: ანულირებულია პრეზიდენტის იმპიჩმენტის კენჭისყრის შედეგები



ბრაზილიის ქვედა პალატის სპიკერის მოვალეობის შემსრულებელმა გამოაცხადა, რომ ანულირებულია პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტთან დაკავშირებული კენჭისყრის შედეგები:

— კენჭისყრისას ადგილი ჰქონდა დარღვევებს, — განაცხადა მან.

განცხადება ნამდვილ სენსაციად იქცა. პრეზიდენტი რუსეფი, რომლის იმპიჩმენტსაც ოპოზიცია კარგა ხანს მოითხოვდა, ჯერჯერობით თანამდებობაზე რჩება.

# ქერი: „სირიაში მშვიდობა უნდა შენარჩუნდეს“



აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ სირიაში მყიფე მშვიდობასაც კი უდიდესი გაფრთხილება სჭირდება.

— არ შეიძლება იმისი დაშვება, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები განახლდეს. სირიაში მშვიდობა უნდა შენარჩუნდეს, — თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა თქვა, რომ ამერიკას, რუსეთსა და ირანს შორის მიღწეულია შეთანხმება სირიაში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით კოორდინირებული მოქმედების შესახებ.

— ჩვენ განვახორციელებთ ზეწოლას როგორც სირიელ პარტიზანებზე, ასევე ასადის მთავრობაზეც და ომის განახლებას არ დავუშვებთ, — აღნიშნა ქერიმ.

სირიის ხელისუფლებამ კიდევ 48 საათით გააგრძელა სამშვიდობო რეჟიმი ალეპოში.

სადღეისოდ ალეპო სამ ნაწილადაა გაყოფილი. ნაწილს ზომიერი სირიელი პარტიზანები აკონტროლებენ, ნაწილს ისლამისტი-ექსტრემისტები, ნაწილს — ასადის არმია.

# ტაიმსი: „პუტინმა თავისი ამბიციები უნდა მოთოკოს!“



ტაიმსმა ფართოდ გააშუქა 9 მაისის პარადი მოსკოვში. ხაზი გაესვა იმას, რომ ღონისძიების მიზანი იყო არა იმდენად ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების აღნიშვნა, რამდენადაც რუსეთის სამხედრო ძალის დემონსტრირება.

— რუსეთის ეკონომიკამ კრახი განიცადა. მოსახლეობის ცხოვრების დონე უარესდება. პუტინიც შოვინისტურ განწყობილებებს აღვივებს, რათა ამ გზით ძალაუფლება შეინარჩუნოს, — წერს ტაიმსი.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ პუტინის სამხედრო ავანტიურების შედეგად საერთაშორისო მდგომარეობა დაიძაბა. პუტინიც ამას ოსტატურად იყენებს. ის ცდილობს დაარწმუნოს მოსახლეობა, თითქოს რუსეთის მიმართ რაღაც გლობალური შეთქმულება არსებობს, უზრუნველყოს ამ ნიადაგზე საერთო ეროვნული კონსოლიდაცია და დაარწმუნოს ხალხი, აიტანოს გაჭირვება.

— ეს სქემა ვერ განხორციელდება. მეტიც, თუკი ყველაფერი ასე გაგრძელდა, რუსეთს შფოთი და არეულობა მოიცავს, — წერს გაზეთი.

სტატიის ავტორი მოუწოდებს პუტინს, დაიოკოს ამბიციები, შეწყვიტოს ავანტიურისტული პოლიტიკა და ცივილიზებული წესებით ითამაშოს.

— ეს რუსეთის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, — წერს ტაიმსი.

# ჩრდილოეთ კორეაში მმართველი პარტიის ყრილობა დასრულდა



ჩრდილოეთ კორეაში მუშაობა დაასრულა მმართველი შრომითი პარტიის ყრილობამ. პარტიის ლიდერად ერთხმად იქნა არჩეული ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი დიქტატორი კიმ ჩენ ინი.

უკანასკნელად შრომითი პარტიის ყრილობა 40 წლის წინათ იქნა მოწვეული.

ყრილობის დასრულების შემდეგ სამოქალაქო პარადი ჩატარდა. მასში მონაწილეობა 300.000-მდე ადამიანმა მიიღო. მათ მოჰქონდათ პლაკატები, რომლებზედაც დიდი ასოებით ეწერა: „ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში საუკეთესო ქვეყანაა!“ „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს კიმ ჩენ ინს!“ და ა.შ.

# ახალ ზელანდიაში იხვის მოკვლისთვის ტურისტი 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს



ახალ ზელანდიაში დანიელი ტურისტი რასმუს ნილსონი 10 ათასი დოლარით დააჯარიმეს იშვიათი ჯიშის იხვის მოკვლისთვის.

24 წლის ნილსონი ქვეყანაში სამი თვით იყო ჩასული. ის სანადიროდ სამხრეთ ვესტლენდში გაემგზავრა და იქ ცისფერი იხვი ვაიო მოკლა, რომელიც ჩვეულებრივი იხვი ეგონა.

დანიელი ტურისტი დაცვის ქვეშ მყოფი გარეული ფაუნის წარმომადგენლის მოკვლასა და შესაბამისი ნებართვის გარეშე ნადირობაში დამნაშავედ ცნეს.

ნილსონმა საკუთარ თავს „დიდი სულელი“ უწოდა. მას მოუწევს ფული თავის მშობლებს სთხოვოს, რათა ჯარიმა გადაიხადოს. მას, სავარაუდოდ, წლები დასჭირდება იმისთვის, რათა მშობლებს ეს ვალი დაუბრუნოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ერდოღანმა „აქსელ სპრინგერის“ ხელმძღვანელს სასამართლოში უჩივლა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა მედია-კონცერნ „აქსელ სპრინგერის“ ხელმძღვანელ მატიას დიონფერდს სასამართლოში უჩივლა.

როგორც ცნობილია, დიონფერდმა მხარი დაუჭირა სატირიკოს ბიომერმანს, რომელმაც ერდოღანზე სიუჟეტი მოამზადა.

თავად ბიომერმანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ახალ სიუჟეტს ამზადებს. მისი გმირი ამჯერად ერდოღანის სიძე იქნება. **მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მუხლებზე მდგომი ჰიტლერის ქანდაკება 17,2 მილიონად გაიყიდა



მუხლებზე მდგომი ადოლფ ჰიტლერის ქანდაკება ნიუ-იორკში გამართულ აუქციონზე 17,2 მილიონ დოლარად გაიყიდა.

იტალიელმა მოქანდაკემ მაურიციო კატელანიმ ხელოვნების ეს ნაწარმოები 2001 წელს დაასრულა. თუმცა, მას არაერთხელ უღიარებია, რომ ხშირად უფიქრია მის განადგურებაზე.

— მინდოდა, ის თავად გამენადგურებინა, მაგრამ ეს ალბათ ათასჯერ მაინც გადავიფიქრე, — განაცხადა კატელანიმ.

ქანდაკებას ჰქვია „ის“ და წარმოადგენს ბავშვის სიმაღლის მუხლებზე მდგომ ჰიტლერს, რომელსაც ნაცრისფერი მატყლისგან დამზადებული კოსტუმი აცვია.

აუქციონი კრისტის ღონისძიების ფარგლებში გაიმართა. როგორც აუქციონის სახლის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, მიუხედავად კინოფილმების რეჟისორების დიდი ყურადღებისა ჰიტლერის პერსონის მიმართ, მხატვრობასა და ქანდაკებაში მასზე არაფერია შექმნილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთიერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# ზიდანს გრანადას იმედი აქვს

მადრიდის რეალის მთავარი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი ესპანეთის ჩემპიონატის მოგების იმედს არ კარგავს. ფრანგი სპეციალისტის თქმით, პრიმერას ბოლო ტურში, უმოტივაციო გრანადას ბარსელონასთან ქულის აღება შეუძლია.

**ზინედინ ზიდანი:**

– წინსვლა უნდა განვაგრძოთ, გრანადამ კი თავისი თამაში ითამაშოს. ჩვენი თამაშის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ. ახლა მე-2 ადგილზე ვართ და მხოლოდ ერთი მატჩია დარჩენილი. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ფეხბურთში არასდროს იცი, რა მოხდება მომავალში. ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ბოლო ტურის შეხვედრაში როტაციას მივმართავთ, მაგრამ მაინც ბოლო წუთამდე ვიბრძოლებთ. გრანადამ უმაღლესში დარჩენა გაინაღდა, მაგრამ ამ გუნდს თავისი საუკეთესო თამაშის ჩვენება სურს.

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი და ბარსელონა მადრიდულ კლუბს ერთი ქულით უსწრებს. ბოლო ტურში, ორივენი უმოტივაციო მეტოქეებს ხვდებიან: ბარსელონა გრანადას, ხოლო რეალი დეპორტივოს სტუმრად დაუპირისპირდებიან.

ბარსელონას ვარსკვლავი ლიონელ მესი აცხადებს, რომ მისმა გუნდმა სეზონის დარჩენილი ორივე მატჩი უნდა მოიგოს. როგორც უკვე გითხარით, კატალონიური კლუბი ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში გრანადას დაუპირისპირდება, ესპანეთის თასის ფინალში კი სევილიას ეთამაშება.

**ლეო მესი:**

– 3 შესაძლო ტიტულიდან 2-ის მოგება კარგი იქნება. ჩასატარებელი 2 ფინალი დაგვრჩა და ორივე მატჩის მოგება გვინდა. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა გვინდოდა, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხდა. ბარსას ჩავარდნა აპრილში? საბედნიეროდ, პრიმერაში კარგი სათადარიგო ქულები გვქონდა. ძალიან ბევრი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ყოველთვის ვიცოდით, რომ ჩემპიონატის ბედი ჩვენს ხელშია.



# იკერ კასილიასი: „აუცილებლად ვიტყვი ყველაფერს“

მადრიდში ალვარო არბელოას ზარ-ზეიმით გაცილებას არაერთგვაროვანი ემოციები მოჰყვა. მართალია, ალვაროს პომპეზურ გაცილებაში ცუდი არაფერია, მაგრამ რეალის გულშემატკივრებს მაშინვე რაულ გონსალეს ბლანკო და იკერ კასილიასი გაახსენდათ.

ყველა მადრიდისტას განსაკუთრებით კასილიასი გაახსენდა, რომლისთვისაც „ბლანკოსის“ დატოვება ნამდვილი კატასტროფა იყო. მეტიც, პრესკონფერენციაზე კაპიტანმა ტირილი ვერ შეიკავა.

უნდა აღინიშნოს, რომ იკერი არბელოას მსგავსი სცენარით არავის გაუცილებია, არც მოთამაშეებს აუტაცებიათ ხელში და ასე შემდეგ. მადრიდში ფიქრობენ, რომ კასილიასი მეტ დაფასებას იმსახურებდა.

გარკვეული ჯგუფები ინიციატივით გამოდიან, რომლის მიხედვითაც, იკერმა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კიდევ უნდა ითამაშოს და გულშემატკივრებს სიყვარულის გამოხატვა შეეძლოთ.

შედგება თუ არა გამოსამშვიდობებელი მატჩი, უცნობია.

თავად კასილიასი არბელოას რეალიდან გაცილებას გამოეხმაურა:

– დასრულდა რაღაც ეპოქა და ალვარო არბელოა რეალს ტოვებს. მან გუნდისთვის ბევრი იბრძოლა და იშრომა. არბელოა ტიტულოვანი ფეხბურთელია, მისი საფეხბურთო ისტორია ყველაფერს მოიცავს. მსურს წარმატება ვუსურვო და აღვნიშნო, რომ ის იმსახურებდა დაფასებას.

მადრიდის რეალი? ეს კლუბი ყოველთვის ჩემს გულში იქნება, მაგრამ მოვა დრო და აუცილებლად გიამბობთ, რატომ გავხდი იძულებული, წავსულიყავი. ეს ჩემთვის დიდი დარტყმა და ტკივილი იყო. მერწმუნეთ, ურთულეს სიტუაციაში ჩამაყენეს.

# პლატინის სასჯელი შეუმცირეს



სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ უეფას ყოფილ პრეზიდენტს მიშელ პლატინის სასჯელი შეუმცირა. ახლა ფრანგი მხოლოდ 4 წლით არის ფეხბურთს ჩამოშორებული. აპელაციის შემდეგ შემცირდა მისთვის დაწესებული ფულადი ჯარიმაც და 80.000 შვეიცარული ფრანკის ნაცვლად, 60.000 ფრანკის გადახდა მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ ფიფას ეთიკის კომიტეტმა პლატინის ფეხბურთში ყოველგვარი საქმიანობა 8 წლით აუკრძალა. პლატინის ფიფას ეთიკის კომიტეტმა ამავე ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტისგან, ზეპ ბლატერისგან მიღებული 2 მილიონი შვეიცარული ფრანკის გამო ედება ბრალი. მოგვიანებით, ფიფას სააპელაციო კომიტეტმა დისკვალიფიკაციის ვადა 2 წლით შეამცირა, თუმცა პლატინიმ სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა და სასჯელის კიდევ 2 წლით შემცირებას მიაღწია.

სასჯელის შემსუბუქების მიუხედავად, სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ პლატინი პირადი სარგებლის მიღებაში და ფიფას ეთიკის კოდექსის დარღვევაში დამნაშავედ ცნო, თუმცა დაადგინა, რომ ფიფას ეთიკის კომიტეტის მიერ დაწესებული სასჯელი ზედმეტად მკაცრი იყო.

# ჩიხურამ სიონთან უპირატესობა შეინარჩუნა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.



### დინამო – გურია 3:2

**თბილისი. დინამო არენა**

**1:0, 2:0 ქვილითაია (39, 42პ), 2:1 კახელიშვილი (45პ), 3:1 ქვილითაია (57), 3:2 ალავერდაშვილი (63)**

**დინამო:** ჰრდლიჩკა, გურული, გველესიანი, ამისულაშვილი, ჭელიძე, პარუნაშვილი, კიტეიშვილი (ალვარო 60), ს. ლობჟანიძე (ჯიღაური 46), ჭანტურიშვილი, იაშვილი (ჯანელიძე 90), ქვილითაია

**გურია:** იმერლიშვილი, ნოზაძე, ჩადუნელი, კაბორე, გელაშვილი, კილაძე, კვეკვესკირი (შტანდერი 60), ალავერდაშვილი, მოროზენკო, გამყრელიძე, კახელიშვილი (პანებენ– ფოდუპი 46, გუჯაბიძე 85)

თბილისელებმა ლანჩხუთის გურია მიიღეს და სანახაობრივ დაპირისპირებაში 3:2 დაამარცხეს მეტოქე.

პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს. ჯერ ვახო ჭანტურიშვილი თამაშობდა ტექნიკურად და რამდენიმე ცრუმოძრაობის შემდეგ ბოლო წამს იყოჩაღეს მცველებმა, შემდეგ კი ზაზა ჭელიძის დარტყმული გამოდგა არაზუსტი. მე-18 წუთზე ალექსანდრე იაშვილის ჩაწოდებულ კუთხურს გიორგი გველესიანმა შეაგება თავი და გოლიც გაიტანა, თუმცა მსაჯმა მეკარეზე სახიფათო თამაში დააფიქსირა და გოლი არ ჩათვალა.

ცოტა ხანში ევგენი მოროზენკოს მართებდა უფრო ზუსტად თამაში, მაგრამ უხეიროდ დაარტყა ბურთს და დინამოს კართან სახიფათო მომენტიც განიმუხტა. 28-ე წუთზე იაშვილმა შეტევის მარჯვენა ფრთიდან სოლო გარღვევა მოაწყო, ზუსტად უპასა ოთარ კიტეიშვილს, რომელსაც ბურთი ფეხიდან აეჭრა.

მატჩის 39-ე წუთზე თბილისელებმა გახსნეს ანგარიში. კიტეიშვილმა ზუსტი პასით გიორგი ქვილითაია მოძებნა, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში 21-ე გოლი გაიტანა. სამიოდე წუთში საჯარიმოში იაშვილზე იუხეშეს და პენალტი დაინიშნა. ქვილითაიამ 11 მეტრიდან უზადოდ დაჰკრა.

შემდეგ უკვე მასპინძელთა კარში დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც გიორგი კახელიშვილმა გოლად აქცია და ტაიმიც დასრულდა.

მეორე ტაიმის დებიუტში შეცვლაზე შემოსული ჯაბა ჯიღაურის ჩაწოდების შემდეგ, ბურთს თავით ალექსანდრე იაშვილი გზავნიდა მეტოქის კარისკენ, თუმცა ოდნავ არაზუსტად. 57-ე წუთზე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გურიასთან ჰეთ თრიქი შეასრულა. ზუსტი პასი კი იაშვილის ანგარიშზეა – 3:1.

63-ე წუთზე გურიამ კიდევ ერთხელ შეამცირა სხვაობა. გიორგი ალავერდაშვილმა შორეული დარტყმით გაიტანა ლამაზი გოლი. მომდევნო შეტევაში გიორგი გამყრელიძე თამაშობდა სახიფათოდ, მაგრამ სიტუაცია ლიბორ ჰრდლიჩკამ განმუხტა. ჭანტურიშვილი და იაშვილი ორჯერ ზედიზედ უტევდნენ იმერლიშვილის კარს, ორჯერვე ბურთი ზევიდან გადაცდა კარს.

საბოლოოდ აღარაფერი შეცვლილა და დინამომ 23-ე გამარჯვება მოიპოვა.

### ჩიხურა – სიონი 1:1

**ივანწმინდა. ცენტრალური სტადიონი**

**1:0 მუმლაძე (33), 1:1 ვასაძე (54)**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, განუგრავა, კაკაშვილი, კუჭუხიძე, მუმლაძე (ჯოხაძე 77), ვოლკოვი (დეკანოიძე 66), ჭეჭელაშვილი (ენუქიძე 63), ვუკასოვიჩი ჩიკვაიძე, კაშია, რეხვიაშვილი

**სიონი:** მერლანი, სვანიძე, კილასონია, ფოფხაძე (ტატანაშვილი 77), გურეშიძე (მანაგაძე 20), საჯაია, გვალია, ვასაძე, მანჯგალაძე, კობახიძე, გოგინაშვილი (გაფრინდაშვილი 46)

ევროსაგზურისთვის მებრძოლი გუნდების მატჩში, ჩემპიონატისთვის სასურველი ანგარიში მასპინძლებისთვის დაფიქსირდა და უახლოეს მდევართან 4-ქულიანი ჰანდიკაპი შეინარჩუნა.

ანგარიში ჩიხურამ გახსნა: მუმლაძემ თანაგუნდელისგან ბურთი თამაშგარეს ზღვარზე მიიღო, ბოლნისელთა დაცვა იმის მოლოდინში, რომ მსაჯი თამაშს შეაჩერებდა, თავად გაჩერდნენ და მერლანთან პირისპირ დარჩენილ საჩხერელთა შემტევს გატანა აღარ გასჭირვებია – 1:0. თუმცა, ამ ეპიზოდში განუგრავას საგოლე პასი უფრო გამოსარჩევია.

მასპინძელთა უპირატესობის მიუხედავად, სტუმრები რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრნენ საჩხერელთა კარს.

მეორე ტაიმი მთლიანად სიონის კარნახით წარიმართა. არმაზ ჯელაძის შეგირდებმა უფრო მეტად კომბინირებული ფეხბურთი ითამაშეს და რომ არა მასპინძელთა მეკარის კარგი თამაში, სტუმრები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენ.

ბოლნისელებმა 54-ე წუთზე გაათანაბრეს: მანაგაძე-მანჯგალაძე-ვასაძის კომბინაცია გოლით დასრულდა – 1:1.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 28 | 23 | 1 | 4 | 71-28 | 70 |
| 2.სამტრედია | 28 | 19 | 3 | 6 | 63-30 | 60 |
| 3.დილა | 28 | 18 | 5 | 5 | 46-22 | 59 |
| 4.ჩიხურა | 28 | 15 | 6 | 7 | 48-24 | 51 |
| 5.სიონი | 28 | 13 | 8 | 7 | 47-31 | 47 |
| 6.ცხინვალი | 28 | 12 | 9 | 7 | 49-33 | 45 |
| 7.ტორპედო | 28 | 12 | 6 | 10 | 43-41 | 42 |
| 8.დინამო (ბთ) | 28 | 11 | 7 | 10 | 39-31 | 40 |
| 9.საბურთალო | 28 | 11 | 6 | 11 | 46-54 | 39 |
| 10.შუქურა | 28 | 9 | 8 | 11 | 28-36 | 35 |
| 11.კოლხეთი | 28 | 7 | 6 | 15 | 20-38 | 27 |
| 12.ლოკომოტივი | 28 | 5 | 9 | 14 | 24-34 | 24 |
| 13.გურია | 28 | 5 | 9 | 14 | 27-47 | 24 |
| 14.ზუგდიდი | 28 | 4 | 8 | 16 | 28-56 | 20 |
| 15.მერანი | 28 | 4 | 7 | 17 | 25-60 | 19 |
| 16.საპოვნელა | 28 | 4 | 6 | 18 | 20-59 | 18 |

# ტურინული სატრანსფერო გეგმები

იტალიური მედიის მტკიცებით, ტურინელები საკმაოდ სერიოზულად განიხილავენ მირალემ პიანიჩის ტრანსფერს. ბოსნიელის კონტრაქტში დევს პუნქტი, რომლის თანახმადაც მის მსურველ კლუბს 38 მილიონის გაღება მოუწევს ნახევარმცველის სანაცვლოდ.

მართალია, რომაელები მის ტრანსფერს გამორიცხავენ, თუმცა მათ კატეგორიულობას ფეხბურთელი ნაკლებად იზიარებს და არ არის წინააღმდეგი, ატმოსფერო გამოიცვალოს.

ბიანკონერი პიანიჩთან ერთად გომეშის ხელში ჩაგდების იმედსაც არ კარგავს, რომელმაც ბოლო ტურში მადრიდელთა წინააღმდეგ თავი ეფექტური გოლით და საიმედო ასპარეზობით გამოიჩინა. ფაქტია, პორტუგალიელი დატოვებს ლამურებს, მაგრამ სად განაგრძობს კარიერას, ჯერ არავინ იცის.

ვალენსიელები კრიზისში არიან და მის გაყიდვას 65 მილიონად აპირებენ, თუმცა რთულად წარმოსადგენია, ეს თანხა რომელიმე მსურველმა გადაიხადოს. თავის მხრივ მაროტა ცდილობს, ტრანსფერი რაც შეიძლება ოპტიმალურ ფასად გააფორმოს.

ტურინელები ალვარო მორატას გარშემო შექმნილი გაუგებრობის ფონზე, მის სავარაუდო ალტერნატივაზე იწყებენ მუშაობას. კავანის გარდა, პრესის ფურცლებზე ალექსის სანჩესის კანდიდატურაც გაჩნდა. ჩილელს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე უკავშირებდნენ ბებერ ქალბატონს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მოქმედ ჩემპიონებს სათავეში ანტონიო კონტე ედგა.



კულუარული ინფორმაციით, სამხრეთამერიკელი ფორვარდი გუნდის გამოცვლას აპირებს, რადგან არსენალის რიგებში თავს არცთუ ისე კომფორტულად გრძნობს. ბიანკონერის გარდა, სანჩესით ბაიერნი და მანჩესტერ სიტიც ინტერესდება.

სასურველი ფეხბურთელების შესასყიდად აუცილებელია არსებული შუახაზელების გასხვისება. ერთ-ერთი მათგანი შესაძლოა რობერტო პერეირა გახდეს, რომლისთვისაც მიმდინარე სეზონში აშკარად არ იყო იდეალური.

თავდაპირველად, ტურინელები ვალენსიელებთან ცდილობდნენ გომეშისთვის ფასის დაგდების მიზნით არგენტინელის შეთავაზებას. თუმცა, კავშირზე ვესტ ჰემი გავიდა, რომელიც მზად არის, ოგბონას შემდეგ რობერტოც შეიძინოს და მასში 12-13 მილიონი გადაიხადოს.

იტალიელები სამხრეთამერიკელს ოდნავ მეტად აფასებენ, მაგრამ მედიის ინფორმაციით, შეთანხმების მიღწევა ძალზე რეალურია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები და ავტომანქანები დაუბრუნდებათ

**საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 7 მიწის ნაკვეთი და 2 ავტომანქანა დაუბრუნდებათ.**



როგორც პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის სამი დანაშაულებრივი ფაქტი. პროკურატურის განცხადებას „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 7 მიწის ნაკვეთი და 2 ა/მანქანა დაუბრუნდებათ.

დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის სამი დანაშაულებრივი ფაქტი. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 9 ივნისს შპს „ლაზარემ", როგორც იურიდიულმა პირმა და მისმა დამფუძნებლებმა ინდივიდუალურად, შპს „ერთობისგან" კანონიერად შეიძინეს ქ.რუსთავში მდებარე მთლიანობაში 7 მიწის ნაკვეთი. მალევე, აღნიშნული მიწის ნაკვეთები ქ.რუსთავის თვითმმართველი ერთეულისა და სამართალდამცავი ორგანოების ინტერესის სფეროში მოექცა, რის გამოც მისი ჩამორთმევა გადაწყვიტეს.

ამ მიზნით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი სამართალდამცავ ორგანოში სისტემატურად იბარებდა შპს „ლაზარეს" დამფუძნებლებს, რომლებსაც მოსალოდნელი პრობლემების შექმნის მუქარით კატეგორიულად სთხოვდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობას.

პარალელურად, ამავე საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეზე, სხვა ფაქტთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს შპს „ლაზარეს" დამფუძნებლების ოჯახის წევრები, რის შემდეგაც გამომძიებელი დაზარალებულებს მათი ოჯახის წევრების პატიმრობაში დატოვებით ემუქრებოდა და პირდებოდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას და საპატიმროდან გათავისუფლებას მხოლოდ მიწის ნაკვეთების დათმობის სანაცვლოდ.

განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად შპს „ლაზარეს" პარტნიორებმა 2010 წლის 02 დეკემბერს ნოტარიულად დამოწმებული გარიგებების საფუძველზე, ქ. რუსთავის თვითმმართველობის სახელზე უსასყიდლოდ დათმეს ხსენებული 7 მიწის ნაკვეთი, რის შემდეგაც მათ ოჯახის წევრებს გაუფორმდათ შეპირებული საპროცესო შეთანხმება და მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება.

ასევე, ჩატარებული გამოძიების შედეგად, მხილებულ იქნა შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე ყოფილი თანამდებობის პირი, რომელმაც 2011 წელს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დაკავებულ ბრალდებულ კახა გურგენიძესა და მის მეუღლე მარიამ რატიანს საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ იძულებით დაათმობინა ოჯახის კუთვნილი „ჰიუნდაი სანტაფეს" მარკის ა/მანქანა, რის შემდეგაც კახა გურგენიძესთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით მსჯავრზე.

ქონების უკანონოდ ჩამორთმევაში მხილებულ მესამე საჯარო მოხელეს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის ყოფილი თანამდებობის პირი, რომელმაც 2010 წლის ოქტომბრის საბაჟო შეტყობინების აქტით, ისე რომ არ არსებობდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი – საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი, მოქალაქე ჯემალ ნაცვლიშვილს უკანონოდ ჩამოართვა საბაჟო გამშვებ პუნქტზე შეჩერებული ავტომანქანა MERCEDES BENZ ML-350.

გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო პროკურატურის მიერ ქონების ჩამორთმევაში მხილებული სამივე საჯარო მოხელის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. თანამშრომლობის შედეგად კი გამოძიება გაგრძელდება მათი ზემდგომი თანამდებობის პირების მიმართ.

დაზარალებულ მოქალაქეებს ია დვალს, გიორგი ქუთათელაძეს, ნანული ქობალავას და სალომე საყვარელიძეს დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული ქ.რუსთავში მდებარე 7 მიწის ნაკვეთი. დაზარალებულ კახა გურგენიძეს, მის მეუღლე მარიამ რატიანსა და ჯემალ ნაცვლიშვილს კი დაუბრუნდებათ ასევე სახელმწიფო ბალანსზე რიცხული „ჰიუნდაი სანტაფეს" და MERCEDES BENZ ML-350 მარკის ა/მანქანები, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# არჩევნებისთვის მოსამზადებელ პროცესებზე იმსჯელეს



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან აცნობეს, შეხვედრაზე განიხილეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი პროცესები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე, წარადგინეს ინფორმაცია მიმდინარე მონიტორინგის შედეგებსა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ახალი ვებგვერდის მზადებასთან დაკავშირებით.

უწყების ინფორმაციით, მიღწეულია შეთანხმება, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების მომენტისთვის შეიქმნება პოლიტიკური დაფინანსების კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის საკითხებზე მომუშავე დროებითი საკონსულტაციო კომისია. კომისია დაკომპლექტდება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, რომლებიც უშუალოდ დააკვირდებიან პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის პროცესს.

**ინტერპრესნიუსი**

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ქალბატონმა

## ტატიანა ისიდორეს ასულმა გვაძაბიამ



**გალის რაიონის ქვემო ბარღების საშუალო სკოლაში 60 წელი იღვაწა და დიდი წვლილი შეიტანა გალის რაიონში ქართული სკოლის განვითარების, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების წმიდათაწმიდა საქმეში.**

**მიმდინარე წლის 15 მაისს ქალბატონ ტატიანას დაბადებიდან 90 წელი უსრულდება.**

**ვულოცავთ ქალბატონ ტატიანას შესანიშნავ იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს!**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო
გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი 50 ლარი 90-ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**

**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

# ასტროპროგნოზი

11 მაისისთვის



**ვერძი** – ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. თუ აქტიურად დასვენება გადაწყვიტეთ, ნაცნობ-მეგობრებიც აიყოლიეთ. კარგად გაერთობით. წარმატება გელით სიყვარულში. **კურო** – კარგია, თუ დღეს მაქსიმალურად გაერთობით. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ტყუპები** – ნურაფერს დაგეგმავთ. დღეს დაისვენეთ მყუდრო გარემოში. ცოტა დაბნეული ხართ, თუმცა ეს დროებითია. **კირჩხიბი** – პლანეტები გმფარველობენ. თუ დაგჭირდათ, ახლობლები და მეგობრები დახმარების ხელს გამოგიწვდიან. **ლომი** – ნებისმიერი ახალი საქმის დაწყება რეკომენდებულია. წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში, ასევე, შესაძლოა, სარფიანი გარიგება შემოგთავაზონ. დათანხმდით, არ ინანებთ. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს, ყველაზე სარისკოც კი. წარმატებას მოგიტანთ სამოგზაუროდ წასვლა და ახალი ნაცნობობა. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი ძალზე მაღალია. კეთილისმყოფელი დღეა ახლობელთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად. ერიდეთ სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას. **მორიელი** – დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თხის რქა** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და მოთმინებით აკეთეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გაგიუმჯობესდებათ. სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი პერიოდია. **თევზები** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. საფრანგეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 2. გვარის, თემის წინამძღოლი სვანეთში; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. უმაღლესი თანამდებობის პირთა სათათბირო ძველ საბერძნეთში; 7. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 12. უზბეკეთის დედაქალაქი; 14. გზაგამტარი ხიდი; 16. ახალი წლის სახელწოდება გურიაში; 17. ქალაქი სამეგრელოში; 19. აზიაში გავრცელებული კუზიანი ხარი; 20. შავი ზღვისპირა კურორტი თურქეთში.

**თარაზულად**: 5. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 6. ამერიკული სამხედრო ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 10. წყალგარეული ღვინო; 11. ვრცელი უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 13. ირანის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 15. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 18, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 21. „ფორმულა-1"-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 22. მონასტერი ყვარლის რაიონში; 23. ხელით სასროლი ფეთქებადი ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვაწვია; 2. სინათლე; 3. პერონი; 4. პასკა; 5. ჩიჩერონე; 7. ბოა; 11. გიტარა; 15. ხერსონი; 16. ქაჯანა; 17. ვეკუა; 18. აგარა; 20. გრილი; 22. ლირა.

**თარაზულად:** 6. ვალაბი; 8. პირინეი; 9. ბასმაჩი; 10. წახნაგი; 12. მენჯი; 13. ალუჩა; 14. კოქტეილი; 19. ქირურგი; 21. ჭედილა; 23. განჯა; 25. ანტალია; 26. ნარმანია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბურგასი; 2. ჯიქები; 3. კინტრიში; 4. ბირთვისი; 7. კათარზისი; 8. ესტაფეტა; 12. ლომბარდი; 14. კონკლავი; 16. ხაფანგი; 17. ინგლისი; 19. კოლო; 20. არფა.

**თარაზულად:** 5. მურყვამი; 6. დრიბლინგი; 9. იამაჰა; 10. ბუკერი; 11. ოტიტი; 13. კომლი; 15. მოჰერი; 18. ფაცხა; 21. კალვადოსი; 22. ნეფრიტი; 23. კოლხეთი.

# ოთარ რამიშვილს მემორიალურ დაფას გაუხსნიან



ცნობილი ქართული სიმღერების ავტორსა და შემსრულებელს ოთარ რამიშვილს 11 მაისს ვაკეში, კავსაძის 7 ნომერში მემორიალურ დაფას გაუხსნიან.

ინფორმაცია ოთარ რამიშვილის შვილმა მიშიკო რამიშვილმა გაავრცელა:

– 11 მაისს, ოთხშაბათს, 17:00 საათზე, ვაკეში კავსაძის ქ. №7-ში, ოფიციალურად იხსენება ოთარ რამიშვილის სახელობის მემორიალური დაფა.

„როცა გულში სიბერე ჩუმად შემეპარება, იმქვეყნადაც ვიმღერებ, მე არ დამეზარება!“ ოთარ რამიშვილი.

ხელოვანი 5 წლის წინ 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი სიმღერები დღესაც პოპულარულია და მსმენელში დიდი მოწონებითაც სარგებლობს. ჯეოსტარის გამარჯვებულმა ოთო ნემსაძემ თავისი სადებიუტო ალბომი სწორედ ოთარ რამიშვილის შემოქმედებას მიუძღვნა და ავტორის ნაწარმოებები თავისებური ინტერპრეტაციით ააჟღერა.

# სოფი ლორენი თბილისში ჩამოდის





მსოფლიო კინოლეგენდა სოფი ლორენი თბილისში ჩამოდის. ის საქართველოს 13 ივნისს ეწვევა და მონაწილეობას მიიღებს ნინო სურგულაძის მიერ ჩატარებულ მორიგ საქველმოქმედო კონცერტში. ქართველი საოპერო მომღერლის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე“ 15 ივნისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართავს საღამოს იმ ბავშვების დასახმარებლად, რომლებსაც სხვადასხვა სირთულის დაავადებები აწუხებთ.

ინფორმაცია 81 წლის სოფი ლორენის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით, ნინო სურგულაძემ თავად გაავრცელა:

– ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანი ამბავი მინდა გაგიზიაროთ. ??

ფონდ „ნატვრის ხის“ 15 ივნისის ღონისძიებას ოპერისა და ბალეტის თეატრში, შეუერთდება მსოფლიო კინოლეგენდა და მსახიობი სოფი ლორენი, როგორც საპატიო სტუმარი. მან სრულიად უსასყიდლოდ გამოთქვა სურვილი დადგეს ჩვენთან ერთად ბავშვების სიცოცხლის გადასარჩენად.

სოფი ლორენს ჯერ კიდევ 2007 წელს შევხვდი იტალიაში და საქართველოს შესახებ ვესაუბრე. მსოფლიო კინოლეგენდამ მაშინ მითხრა, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მხოლოდ რუსეთში იყო ნამყოფი და საქართველოში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა. აი, ეს დროც დადგა, უმშვენიერესი სოფი ლორენი 13 ივნისს საქართველოს ეწვევა და ფონდ „ნატვრის ხის“ კონცერტზე ჩვენთან ერთად იქნება.

15 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ლა სკალას რეჟისორთან და ქორეოგრაფთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება იგეგმება, რომლის ფარგლებშიც მსოფლიო პრემიერა მოეწყობა, თუმცა ამ ეტაპზე სიურპრიზად ვტოვებთ იმას, რაც კეთდება. ყველას, ვისაც გაქვთ სურვილი მხარი დაუჭიროთ „ნატვრის ხეს“ და ჩვენთან ერთად იბრძოლოთ პატარების სიცოცხლის გადასარჩენად, მოგვმართეთ.

# თამთა გოდუაძემ ბერძნული „იქს ფაქტორიდან“ ქართველი კონკურსანტი გაუშვა



ქართველი მომღერალი თამთა გოდუაძე საბერძნეთში ვარსკვლავია. ის ქართული იქს ფაქტორში ორი სეზონის განმავლობაში მენტორიც იყო და პირველი სეზონი თორნიკე ყიფიანთან ერთად მოიგო კიდეც.

ახლა თამთა ბერძნული'„იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრია და კონკურსანტებთან ერთად გამარჯვებისთვის იბრძვის. ბერძნულ „იქს ფაქტორში“ ქართველებიც მონაწილეობენ. რამდენიმე წლის წინ მასში მონაწილეობა ნინი შერმადინმაც მიიღო, რჩეულთა შორის მოხვდა და მეორე ადგილი დაიკავა.

ქართველები ბერძნულ „იქს ფაქტორში“ წარმატების მისაღწევად წელსაც მივიდნენ. მათ შორის აღმოჩნდა ანა მიქელაძე. დარჩებოდა თუ არა ქართველი პროექტში, ეს სწორედ თამთაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ თამთამ ის პროექტიდან გაუშვა.

თავისი გადაწყვეტილება მენტორმა კი იმით ახსნა, რომ ანამ არც ბერძნული იცოდა და არც ინგლისური. ბერძნული „იქს ფაქტორის“ ორგანიზატორებმა ამ მომენტის ამსახველი ვიდეო ინტერნეტში გაავრცელეს, სადაც კარგად ჩანს, თუ როგორ გაუჭირდა თამთას ქართველი კონკურსანტის პროექტიდან გაშვება.

ქართული „იქს ფაქტორისთვის“ თამთამ სპეციალური ვიდეო მიმართვა ჩაწერა და ოთხივე მენტორს და კონკურსანტებს წარმატებები უსურვა.

# თაკო გაჩეჩილაძე „იქს ფაქტორის“ მენტორებს უპირისპირდება





მომღერალი თაკო გაჩეჩილაძე „იქს ფაქტორის“ მენტორებს უპირისპირდება და არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებაში ადანაშაულებს.

**თაკო გაჩეჩილაძე:**

– მეორეჯერ ვუყურებ ზედიზედ „იქს ფაქტორს“ და ძალიან სამწუხაროა რომ ადამიანები, რომლებიც დიდად ვერ ერკვევიან მუსიკაში და შესრულებაში, ისინი წყვეტენ, ვინ დარჩეს და ვინ არა... წინაზე გაბუნიამ გაუშვა მაგარი გოგო, ახლა გვარამიამ... სუბლატისგან ლიზი შენგელიას გაშვება ძალიან გამიკვირდა... ყველაზე კარგი მის ჯგუფში ის იყო.

# ესპანელმა მხატვარმა დიდგორის ბრძოლა დახატა



ცნობილმა ესპანელმა მხატვარმა ავგუსტო ფერერ დალმაომ ქართული ისტორიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დიდგორის ბრძოლა დახატა. ნამუშევრის პრეზენტაცია მადრიდში გაიმართა. მხატვარმა საქართველოდან ჩასულ დელეგაციას თავისი ნახატი ოფიციალურად წარუდგინა და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული სამხედრო გმირობის, „ძლევაი საკვირველად“ წოდებული დიდგორის ბრძოლის ქართველი რაინდის პორტრეტი გააცნო.

ავგუსტო დალმაო პირველი ევროპელი მხატვარია, რომელმაც ქართველთა ყველაზე გამორჩეულ ბრძოლას ფერწერული ტილო მიუძღვნა. დალმაო დიდგორის ბრძოლის ისტორიას, ქართველთა სამხედრო ჩაცმულობას და ისტორიულ წყაროებს 6 თვის განმავლობაში სწავლობდა.

# ყველაზე უცნაური პიესა მარჯანიშვილის თეატრშია

ფრიდრიხ დიურენმატის „მოხუცი ქალის ვიზიტი“ ყველაზე უცნაურ პიესად არის მიჩნეული, რომელიც ერთდროულად ყველაფერზეა, სიყვარულზეც, ღირსებაზეც, ჰუმანიზმზეც, კაცთმოყვარეობაზეც, ოღონდ თითქოს ნეგატივში დანახული, როგორც ფოტო ფირზე ჩანს, სადაც თეთრია, შავად ვხედავთ, სადაც შავია, თეთრად და მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია, როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება „გამჟღავნების“ შემდეგ.

სპექტაკლს რეჟისორი სანდრო ელოშვილი დგამს. მისი პრემიერა 11 მაისს არის დაგეგმილი.

– შვეიცარიაში, ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 32,571 დოლარს შეადგენს, რაც მსოფლიოში მეექვსე მაჩვენებელია, საქართველო ამ მხრივ 120 ადგილს იკავებს 179 ქვეყნიდან. ფრიდრიხ დიურენმატი შვეიცარიელია, ჩვენ კი ვცდილობთ მისი პიესა „მოხუცი ქალის ვიზიტი“ ქართულ რეალობას მოვარგოთ. ეს არც ისე რთული აღმოჩნდა და არც განსაკუთრებული ცვლილებები მოითხოვა ნაწარმოებმა, რადგან, როგორც ჩანს, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ერთნაირად განიცდიან, ერთნაირად სტკივათ და ერთნაირად უჭირთ ცდუნებების წინაშე გამკლავება, – ამბობს რეჟისორი.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# თბილისში მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდება





„ქანდაკების არსი თანამედროვე სამყაროში“ – ასეთია მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმის სლოგანი, რომელიც 11 მაისს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ ოფიციალურად გაიხსნება.

სიმპოზიუმის მიზანია ქართველი და უცხოელი ხელოვანებისა და მოქანდაკეების ერთ სივრცეში ინტეგრირება, თანამედროვე ქანდაკების აქტუალური საკითხებისა და ტენდენციების განხილვა, ახალი ტექნოლოგიებისა და მიმართულებების დანერგვა. სიმპოზიუმი ჩატარდება საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების დაცვით. გაიმართება „ვორქშოპები“ და პრეზენტაციების წარდგენა. მასში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვანები სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის იტალიიდან, ფინეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ირლანდიიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან.

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ მომზადდება ხელოვნების საერთაშორისო არტ კატალოგი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ღონისძიების მიმდინარეობა, ვიზუალური მასალა, სტატიები, პრეზენტაციების რეზიუმე, რომელიც ხელოვნების სფეროში მოღვაწეთათვის ერთგვარი სახელმძღვანელო იქნება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ჩინეთში მიმდინარე წელს პირველი პანდა დაიბადა



ჩინეთში ჩენდუში მდებარე კვლევით ცენტრში დიდი პანდა დაიბადა. პატარა ბელი ცხრა წლის მდედრ დათვს, სახელად აიბანს ეყოლა.

2016 წელს პირველი დიდი პანდას დაბადების პირდაპირმა რეპორტაჟმა 620 ათასიან აუდიტორიას მოუყარა თავი. შემდეგ კი სოციალური ქსელების მომხმარებლებს უჩვენებდნენ არა მხოლოდ ტექსტურ შეტყობინებებს, არამედ ფოტოს და ვიდეოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 11 მაისი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**პარასკევის ღამის ნათება**" **03.10** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**ფორესტ გამპი**" **03.25** მხ/ფ "**ლუინ დევისის შიგნით**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ნანუკასშოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30** **20.30 22.30** სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.45** მხ/ფ "**ბოლო კადრი**" **2.30** URBAN STORIES

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** მოკ. მხ/ფ "**თავადის ქალი მაია**" **11.15** ერთხელ ბავშვობაში **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "მარიამ დედოფალი" **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ყოჩივარდა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.20** ველური ბუნება "ტახების დევნა" **16.00** კონცერტი "მძლევარი" **17.10** ძველი აფიშა "ჭინჭრაქა" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30,** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები"-**33** (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უსხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.2134 | ევრო — 2.527 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2072 | 100 რუსული რუბლი — 3.3432 |

**ამინდის პროგნოზი 11 მაისისთვის**





## 13 მაისიდან
## მამუკა გორგოძე

ფერადი ილუსტრირებული წიგნი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის, მორაგბე მამუკა გორგოძის პირად და სპორტულ ცხოვრებას ასახავს.

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**







## 10 მაისიდან
## ანა ფრანკის დღიური

ოქროს ბიბლიოთეკა
ტომი 2

**წიგნისა და გაზეთის ფასი 10 ლარი**

## 12 მაისიდან
## ტიმ სევერინი




**მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მკვლევარი, ისტორიკოსი და მწერალი ტიმ სევერინი 1984 წელს თანამედროვე არგონავტებთან ერთად საბერძნეთიდან თურქეთის გავლით, 12-ნიჩბიანი ხომალდით კოლხეთისკენ გამოემგზავრა.**

**მისი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ 3.000 წლის წინ იასონის მეთაურობით დაწყებული მოგზაურობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ფიზიკურად შესაძლებელი იყო.**

**„იასონის მოგზაურობა“ სწორედ სევერინისა და თანამედროვე არგონავტების საბერძნეთიდან საქართველომდე მოგზაურობას ასახავს.**

## იასონის მოგზაურობა

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ბაიერნმა ბენფიკას 18 წლის ფეხბურთელი იყიდა



მას შემდეგ, რაც მატს ჰუმელსი ოფიციალურად ბაიერნის ფეხბურთელი გახდა, მიუნხენელებმა კიდევ ერთი ტრანსფერის გაჩარხვა მოახერხეს.

ამჯერად საუბარია ბენფიკას 18 წლის ნახევარმცველ რენატუ სანჩესზე, რომელსაც ბაიერნი დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა.

რენატუ თავის ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება და მისი შეძენა მანჩესტერ იუნაიტედსაც სურდა, თუმცა ყველას ისევ ბაიერნმა აჯობა. სანჩესმა კონტრაქტს ხელი 2021 წლამდე მოაწერა, მისი ტრანსფერი კი გერმანელებს 35 მილიონი ევრო დაუჯდათ.

როგორც ბაიერნის სპორტულმა დირექტორმა კარლ ჰაინც რუმენიგემ თქვა, ბაიერნი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ყიდვას აპირებს, თუმცა კონკრეტული გვარები ჯერჯერობით არ სახელდება.

## ტორესს მალე ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ



ფერნანდო ტორესი იმდენად კარგ ფეხბურთს აჩვენებს ბოლო პერიოდში, რომ მადრიდის ატლეტიკოს მისი გაშვება არ უნდა.

ამჟამად ტორესი მილანს ეკუთვნის, მაგრამ ესპანელები ფერნანდოს ბოლომდე გამოსყიდვას აპირებენ, ფეხბურთელს კი ახალ ორწლიან კონტრაქტს შესთავაზებენ. ტორესს დიდი სურვილი აქვს, კარიერა ატლეტიკოში დაასრულოს, ამიტომ, სავარაუდოდ, ის ამ წინადადებას დათანხმდება.

ფერნანდო უკვე 32 წლისაა და მისი კარიერა სწორედ მადრიდის ატლეტიკოში დაიწყო, სადაც მისი ნიჭი ადრეულ ასაკში შეამჩნიეს.

ტორესმა კარიერის საუკეთესო ნაწილი ლივერპულში გაატარა, გუნდში, რომელშიც მას დღემდე ძალიან აფასებენ.

## იუმორი



ერთი ახალგაზრდა მეორეს ეკითხება:
– სვამ?
– არა.
– ეწევი?
– არა.
– ნარკოტიკებს იღებ?
– არა.
– აბა, დაძაბულობას როგორ იხსნი?
– როდის დავიძაბე, რო...

●●●

ერთი პოლიციელი მეორეს ეუბნება:
– წარმოგიდგენია, საიუველირო მაღაზიის გამყიდველმა მძარცველი ვერ ამოიცნო.
– აჰა, გამდიდრდება.

●●●

ტელეფონის ზარი:
– ალო, მაპატიეთ, ასე გვიან რომ ვრეკავ.
– გვიან კი არა, სულ ტყუილად!

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:
– ძვირფასო, გიყვარვარ?
– აბა, შენ თვითონ დაფიქრდი, რომ არ მიყვარდე, 20 წელი ასე ვიქნებოდი დივანზე წამოწოლილი?!

●●●

სიკვდილის პირას მყოფი ბებია შვილიშვილს ურეკავს და ეუბნება:
– შვილო, ვკვდები და შენ გიტოვებ ფერმას, იქ სამი სახლია, ათი მანქანა, ათასი ქათამი, იპოდრომი, ორი ათასი ღორი და ორი მაღაზია. ეს ყველაფერი შენი იქნება.
– ბებია, ეგ ფერმა სად არის?
– ინტერნეტში, შვილო, ინტერნეტში!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– გავიგე, დაოჯახებულხარ. ალბათ ახლა გაიგე თუ როგორია ნამდვილი ბედნიერება?
– კი, მაგრამ უკვე გვიანია...

## იბრაჰიმოვიჩის მომავალი გაურკვეველია



პსჟ-ს შვედი ფორვარდის ზლატან იბრაჰიმოვიჩის მომავალი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ზლატანი 34 წლისაა და სეზონის ბოლოს პსჟ-დან წასვლას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, რომ შეიძლება პსჟ-ში დარჩეს, მაგრამ, ამავდროულად, რამდენიმე სხვა გუნდზეც ფიქრობს, თუმცა ამ გუნდების სახელებს არ ამბობს.

ზლატანმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ მალე ყველაფერი გაირკვევა, მაგრამ ჯერჯერობით მას გადაწყვეტილება არ მიუღია.

## ბენიტესი ნიუკასლიდან წასვლას არ აპირებს



რაფაელ ბენიტესი, რომელიც ამჟამად ნიუკასლის მთავარი მწვრთნელია, გუნდიდან იმ შემთხვევაშიც არ წავა, თუ ნიუკასლი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებას ვერ შეძლებს და მეორე დივიზიონში გავარდება.

ნიუკასლი ძალიან ახლოს არის გავარდნასთან და გადარჩენის მცირე შანსები აქვს, თუმცა ბენიტესს ამაში ბრალი ნაკლებად მიუძღვის, რადგან გუნდი მან დაახლოებით ერთი თვის წინ ჩაიბარა.

ზოგადად, ბენიტესისთვის ეს საფეხბურთო სეზონი საკმაოდ რთული გამოდგა, რადგან სექტემბერში ის რეალის მწვრთნელი იყო, თუმცა არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო უკვე იანვარში გაათავისუფლეს.

## ვესტ ჰემი ბენტეკეს არ ეშვება



ლონდონურ ვესტ ჰემს ზაფხულში ცენტრალური თავდამსხმელის ყიდვა სურს. ლონდონელები რამდენიმე კანდიდატურას განიხილავენ, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ლივერპულის ბელგიელი ფორვარდით კრისტიან ბენტეკეთი არიან დაინტერესებულნი. ბენტეკე უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით ლივერპულში, რადგან საკმარისი სათამაშო დრო არ აქვს, ამიტომ, ლოგიკური იქნება, თუ ბენტეკე გუნდის გამოცვლას დააპირებს.

ლივერპულმა ბენტეკეში 32 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა, ამიტომ ვესტ ჰემს ამ ტრანსფერის განხორციელებისთვის ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს.

ჯერჯერობით ლონდონელები მხოლოდ 25 მილიონზე არიან ყაბულს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა საცხოვრებელი ქოხი; 2. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 3. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ალუმინის მწარმოებელი კანადური კონცერნი; 4. მანძილი იდაყვიდან შუათითის წვერამდე; 5. ფრანგი მხატვარი, ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“ ავტორი; 7. სამხრეთკორეული ავტომობილი; 11. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ცხოველთა სადგომი ზოოპარკში; 16. კამათლის თამაში ფულზე; 17. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 18. აკვიატებული შიში; 20. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 22. ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლური ენების მკვლევარი.

**თარაზულად**: 6. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 8. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ძვირფასბეწვიანი კურდღელი; 9. კარაქის შესადღვები ძველებური ხის მოგრძო ჭურჭელი; 10. საღამოს სადილი; 12. მტრედის ბარტყი; 13. ზღაპრული შინაარსის იგავი; 14. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 19. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 21. აჭარული ცეკვა; 23. პირველი იაპონური ხელოვნური თანამგზავრი; 24. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 25. გაცვეთილი ჭეშმარიტება; 26. ირანის საინფორმაციო სააგენტო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი